პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 97 (10491) | ოთხშაბათი, 25 აპრილი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეათა გამარჯვება

საბჭოთა ხალხმა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ღრმა გრძნობით აღნიშნეს 22 აპრილს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 86-ე წლისთავი. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ტაშკენტში, ყველა სოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქებში, ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა მილიონობით ადამიანისათვის ამ ძვირფასი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები. ხალხმრავალი კრებები გაიმართა საწარმოებში, კოლმეურნეობებში, სწავლებლებებზე, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში.

ვ. ი. ლენინას დაბადების 86-ე წლისთავი აღინიშნა ახალი მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. სოციალისტური პრეწველობის მუშაკები სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. კოლმეურნეები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ წარმატებით ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, მოიყვანონ უხვი მოსავალი, მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი მარცვლეული, მეცხოველეობის პროდუქტები, ტექნიკური კულტურები.

მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია ახალი და ახალი სახელოვანი შრომითი საქმეებით უპასუხებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებას.

„საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის!“

ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის წინ, დასახა რა რუსეთის სოციალისტურად გარდაქმნის გიგანტური პროგრამა, ვ. ი. ლენინმა წამოაყენა ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურად, ე. ი. ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. თუ როგორ წყვეტდა და წყვეტს პარტია ამ ამოცანას, ამაზე თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა სსრ კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური განვითარების ტემპების შედარება. 1913-დან 1955 წლამდე განვლილ პერიოდში სამრეწველო პროდუქციის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გადიდდა: ამერიკის შეერთებულ შტატებში — 2,3-ჯერ, ინგლისში — 1,6-ჯერ, საფრანგეთში — 1,8-ჯერ, სსრ კავშირში — 19,4-ჯერ.

ეს შედარებითი მონაცემები დამაჯერებლად გვიჩვენებენ, რომ რეალურია და მეცნიერულად დასაბუთებულია ამოცანა, რომელიც დასახა XX ყრილობამ — ისტორიულად უმოკლეს ვადაში დავეწიოთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

სწორედ სსრ კავშირის ამ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტის მიხედვით უნდა განვიხილოთ ბრძოლა, რომელსაც კომუნისტური პარტია ეწევა ყოველგვარი კონსერვატიზმის, ჩამორჩენილობისა და ყოყოჩობის წინააღმდეგ. მხოლოდ იმ პირობით, თუ უზრუნველყოფთ საბჭოთა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, წარმოების მოწინავეთა, ნოვატორთა ძვირფასი გამოცდილების სწრაფად ათვისებას, შეეძლებთ გამოვავლინოთ და ავამქმედოთ მთელი რეზერვები, სრულად გამოვიყენოთ საბჭოთა წყობილების, მეურნეობის სოციალისტური სისტემის დიდი უპირატესობანი.

ყოველი ლენინისეულებით ავითარებს რა მრეწველობას, პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიას, რომელიც იყო და ახლაც არის მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველი, აწყობს რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრ აღმავლობას, პარტია ზრუნავს უწინარეს ყოვლისა ხალხის კეთილდღეობისათვის, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისა და აყვავებისათვის. განუწყვეტლივ ხელმძღვანელობს რა მთელ თავის საქმიანობაში სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონით, რომლის არსიც აღმოაჩინა უკვდავმა ლენინმა, პარტია მთელი ენერგიითა და თანმიმდევრობით ახორციელებს მის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემას, რომელთა მიზანია ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი აღმავლობა.

ლენინის ანდერძი განუბრელი შესრულებით, თავდადებული ბრძოლით ხალხის საქმისათვის, მისი კეთილდღეობისა და აყვავებისათვის ჩვენმა პარტიამ მოიხვეჭა ჩვენი ქვეყნის ყველა შრომელთა, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების, დედამიწის ყველა კუთხის მილიონობით ადამიანის უსაზღვრო სიყვარული. პარტიის ძალა იმაშია, რომ იგი ყველაზე მოწინავე თეორიით — მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებულ თანამოაზრე კომუნისტთა მებრძოლი კავშირია. პარტიის ძალაა განუყრელი კავშირი ხალხის მასებთან, ორგანიზებულობა და დისციპლინა, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების, პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების ზუსტად და განუხრელად დაცვა.

აჩაღებს რა გადამწყვეტ ბრძოლას პიროვნების ანტიმარქსისტული კულტისა და მისი შედეგების წინააღმდეგ, პარტია ამრავლებს თავის ძალას, განამტკიცებს უძლეველ საბჭოთა წყობილებას — ხალხის ნამდვილ ძალაუფლების წყობილებას. მიაჩნია რა ხალხის მასები ისტორიის ნამდვილ გმირად, ახალი ცხოვრების შემოქმედად, პარტია ამასთანავე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ხელმძღვანელთა როლს, თავის საქმიანობაში ემყარება ლენინის იმ დებულებას, რომ არც ერთ კლასს ისტორიაში არ მიუღწევია ბატონობისათვის ისე, რომ არ წამოეყენებინოს თავისი მოწინავე წარმომადგენლები, რომელთაც მოძრაობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის უნარი შესწევდათ.

სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვების ცოცხალი განსახიერებაა. ამ იდეათა ყოვლისმძლე ძალას მოწმობს მსოფლიო განვითარების მთელი გამოცდილება, მოწმობს ისეთი მსოფლიო-ისტორიული ფაქტები, როგორიც არის ის, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, დაიწყო სამარცხვინო კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციის პროცესი და ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გაიმარჯვა ოზიისა და აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში. ამ მძლავრ და უძლეველ ძალას მოწმობს ისეთი ფაქტიც, როგორიც არის ახალი მსოფლიო სიტუაციის შექმნა, რომლის დროსაც, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, ომი აღარ არის ფატალური გარდუვალობა.

ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის მებრძოლ მილიონობით ადამიანის დროშა გახდა სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი. მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავს რა ამ პრინციპს, საბჭოთა კავშირი თვალსაჩინოდ ადასტურებს ილიჩის შთამაგონებელ სიტყვებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც თვითონ ხალხმა შექმნა, მადლიან ნიადაგზე აყენებს ყველა ხალხის მშვიდობის დიად საქმეს. ამ ლენინური პრინციპისადმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთგულებას კვლავ მკაფიოდ მოწმობს ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს ხრუშჩოვის გამგზავრება ინგლისში და სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება, რომელიც ამჟამად ლონდონში მიმდინარეობს.

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადმა ინტერნაციონალურმა მოძღვრებამ მძლავრ შუქურასავით გაუშუქა ყველა ქვეყნის მშრომელებს თავისუფლების, სოციალიზმის გზა, განუმტკიცა რწმენა საკუთარი ძალებისადმი, იმისადმი, რომ მათ შეუძლიათ გარდაქმნან მსოფლიო ახალ, სოციალისტურ საწყისებზე.

კაცობრიობის ისტორიაში ჩვენი საუკუნე შევა ოქროს ფურცლად, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების გამარჯვების დიადი და სახელოვანი საუკუნე.

„პრავდის“ 24-IV მოწინავე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი ინგლისში

ჰარუელის ატომის ცენტრის დათვალიერება

ლონდონი, 21 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერეს ჰარუელის ატომის სამეცნიერო-საკვლევი ცენტრი, 60 მილზე ლონდონის დასავლეთით, — დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საექსპერიმენტო დაწესებულება ატომგულის ენერგიის შესწავლის დარგში. ისინი ჰარუელში ჩავიდნენ 11 საათზე ადგილობრივი დროით დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სელვინ ლოიდის, განათლების მინისტრის დ. ეკლსისა და სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის ელჩის სერ უილიამ ჰეიტერის თანხლებით. სტუმრებს შეხვდნენ ბრიტანეთის ატომის ენერგიის საკითხთა სამმართველოს თავმჯდომარე სერ ედვინ პლაუდენი და ამ სამმართველოს მკვლევართა ჯგუფის დირექტორი (ამავე დროს ჰარუელის ატომის ცენტრის დირექტორი) — ცნობილი ინგლისელი მეცნიერი სერ ჯ. კოკროფტი.

ატომის ცენტრის კონფერენც-დარბაზში ე. პლაუდენი მიესალმა ნ. ა. ბულგანინს, ნ. ს. ხრუშჩოვსა და მათს თანმხლებ პირებს, რომელთა შორის იყო აკადემიკოსი ი. ვ. კურჩატოვი.

შემდეგ პროფესორმა ჯ. კოკროფტმა სტუმრებს გააცხო საქმიანობა ატომის ენერგიის საკითხთა სამმართველოს მკვლევართა ჯგუფისა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს და რომელიც მუშაობს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების პრობლემებზე.

პროფესორმა კოკროფტმა აცნობა, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჰარუელის ცენტრი მუშაობდა ინგლისის პირველი ატომის ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტებზე. სადგურისა, რომელიც შენდება კოლდერჰოლში (ჩრდილოეთი ინგლისი). შემდეგ პროფესორი კოკროფტი შეეხო ინგლისში ატომის ენერგეტიკის განვითარების გეგმებს, შეადარა რა ისინი საბჭოთა კავშირის შესაბამის გეგმებს, და აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის უნდა მოეწყოს შეჯიბრება ამ დარგში.

თავის განმარტებებში პროფესორი კოკროფტი შეეხო ატომის რეაქტორთა ტიპების პრობლემას და გეგმებს, რომლებსაც ამ დარგში სახავს ბრიტანეთის ატომის ენერგიის საკითხთა სამმართველო.

საუბრის დამთავრების შემდეგ პროფესორმა კოკროფტმა ნ. ა. ბულგანინს, ნ. ს. ხრუშჩოვსა და მათ თანხლებ პირებს უჩვენა ჰარუელის ცენტრის ორი რეაქტორის დანადგარი. უწინარეს ყოვლისა მან გააცნო რეაქტორი „ზეპო“, რომელიც 1948 წელს აშენდა და ამ სახის ერთ-ერთი პირველი დიდი დანადგარია ინგლისში. სტუმრებმა დაათვალიერეს რეაქტორის მართვის პულტი, მისი ძირითადი რგოლები და იზოტოპების ნიმუშების გამოფენა, რომელიც მოწყობილია დარბაზში.

ამ დარბაზში ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმნენ ჰარუელის პროფკავშირთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შემდეგ პროფესორმა კოკროფტმა სტუმრებს უჩვენა მეორე, უფრო ახალი ექსპერიმენტული რეაქტორი — „ზეუსი“ — ნაკლები სიმძლავრისა. დასასრულ საბჭოთა ხელმძღვანელებს უჩვენეს რადიაქტიურ ნივთიერებათა ქიმიური მოქმედების შესასწავლი და ატომის ენერგიის გამოსაყენებლად მექანიკური აპარატურის დასამუშავებელი საექსპერიმენტო ლაბორატორიები.

ცენტრის დათვალიერების შემდეგ სერ ე. პლაუდენმა და სერ ჯ. კოკროფტმა საუზმე გამართეს საბჭოთა ხელმძღვანელების პატივსაცემად. ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს სტუმართმოყვარეობისათვის და იმისათვის, რომ მათ საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ ატომის ცენტრს.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ოქსფორდში

ლონდონი, 21 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღის მეორე ნახევარში ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები ჰარუელიდან ავტომანქანებით ჩავიდნენ ინგლისის განთქმულ საუნივერსიტეტო ქალაქში — ოქსფორდში.

საბჭოთა ხელმძღვანელების მოლოდინში ოქსფორდის ქუჩებში და ქალაქის რატუშის შენობის წინ შეიკრიბნენ ქალაქის ათასობით მცხოვრები და ოქსფორდის კოლეჯების სტუდენტები. დამსწრეთა უმრავლესობა საბჭოთა სტუმრებს ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდა მისალმების მეგობრული შეძახილებით იმ მომენტში, როდესაც მათი ავტომობილები რატუშის შესასვლელთან გაჩერდნენ.

რატუშის ზღურბლზე სტუმრებს შეხვდა ოქსფორდის მერი ბ-ნი ა. მ. ლოუერი.

რატუშის ერთ-ერთ დარბაზში გაიმართა საუბარი, რომლის დროს ბ-ნი ლოუერი გულითადად მიესალმა საბჭოთა ხელმძღვანელებს და გააცნო მათ დარბაზში თავმოყრილი წარმომადგენლები ოქსფორდის საზოგადოებრიობისა. თავის მოკლე მისასალმებელ სიტყვაში ოქსფორდის მერმა საბჭოთა ხელმძღვანელებს უსურვა წარმატება ინგლისის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებაში.

ნ. ა. ბულგანინმა საპასუხო სიტყვაში გულითადი სალამი გადასცა ოქსფორდის მცხოვრებლებს საბჭოთა ხალხისაგან. თავისი სახელით და ნ. ს. ხრუშჩოვის სახელით მან სიხარული გამოთქვა მეცნიერებისა და კულტურის ისეთი განთქმული ცენტრის დათვალიერების გამო, როგორიც არის ოქსფორდი. შეეხო რა ოქსფორდის მერის მიერ გამოთქმულ სურვილს, რომ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდეს, ნ. ა. ბულგანინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მხარე გულწრფელად ცდილობს მიაღწიოს მოლაპარაკების დადებითს შედეგებს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მხრივ კმაყოფილება გამოთქვა ინგლისში ყოფნისა და ინგლისის ხელმძღვანელებთან კონტაქტების გამო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელების ვიზიტის მიზანი ის არის, რომ ხელი შეუწყონ შემდგომ ნაბიჯებს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისათვის. საბჭოთა კავშირს, დასძინა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სურს განამტკიცოს მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობა ინგლისთან, და არა მარტო ინგლისთან, არამედ ყველა ქვეყანასთან, რადგან მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის მიღწევისათვის არ კმარა მეგობრობა და მშვიდობა ორ ცალკეულ ხალხს შორის. გაიზიარა რა გამოთქმული სურვილი, რომ საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდეს, ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ასეთი წარმატება შესაძლებელია იმ პირობით, თუ ორივე მხარე თანაბრად ეცდება ამას.

საგარეო საქმეთა მინისტრმა სელვინ ლოიდმა თავის მოკლე სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისის მხარე დაინტერესებულია მოლაპარაკების წარმატებით. მან თქვა, რომ საჭიროა გულახდილობა მოლაპარაკების დროს და იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივად იქნება გადადგმული ნაბიჯები დაძაბულობის შენელებისათვის.

რატუშაში საუბრის დამთავრების შემდეგ ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები გაეგზავნენ ოქსფორდის უნივერსიტეტის კოლეჯების დასათვალიერებლად.

საბჭოთა სტუმრებმა უწინარეს ყოვლისა დაათვალიერეს „კლარენდონ ბილდინგი“, სადაც არის ოქსფორდის უნივერსიტეტის საბჭოს სხდომათა დარბაზი, და ხელი მოაწერეს საპატიო სტუმრების წიგნში. მათ შეხვდა უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერი ა. ჰ. სმიტი, რომელმაც სტუმრებს უჩვენა შენობის ღირსშესანიშნაობანი და უამბო უნივერსიტეტის საბჭოს მუშაობის, მისი პრივილეგიებისა და ჩვეულებების შესახებ. შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერეს „წმ. მაგდალინას“ კოლეჯი და „ნიუ კოლეჯი“ — ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე ძველი ოქსფორდის უნივერსიტეტის შენადგენლობაში. ისინი იყვნენ აგრეთვე ბოდლეიის სახელობის განთქმული ბიბლიოთეკის ეზოში. ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკის შემდეგ ეს ბიბლიოთეკა სიმდიდრის მხრივ მეორეა ინგლისში.

კოლეჯებთან თავმოყრილი სტუდენტთა ჯგუფები გულითადად მიესალმნენ საბჭოთა ხელმძღვანელებს. გაისმოდა შეძახილები „ვაშა!“ და სტუდენტთა სიმღერები.

უნივერსიტეტის დათვალიერების შემდეგ „ნიუ კოლეჯის“ შენობაში სტუმრებს მიართვეს ჩაი. გამოეთხოვნენ რა ვიცე-კანცლერ სმიტსა და კოლეჯების რექტორებს და მადლობა გადაუხადეს მათ თავაზიანობისა და სტუმართმოყვარეობისათვის, ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დატოვეს ოქსფორდი. მათ ქუჩებში აცილებდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა და სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები.

* * *

ოქსფორდიდან ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი გაემგზავრნენ დიდ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სერ ანტონი იდენის ქალაქგარეთა რეზიდენციაში — ჩეკერსში, სადაც საბჭოთა და ინგლისელ ხელმძღვანელებს შორის განახლდა მოლაპარაკება, რომელიც წინა დღეებში მიმდინარეობდა დაუნინგ სტრიტზე, 10.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ჩეკერსში გაატარებენ ღამეს და ხვალინდელ დღეს.

დარბაზობა ლონდონის საგრაფოს საბჭოში

ლონდონი, 23 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). 22 აპრილს საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი ესტუმრნენ ლონდონის საგრაფოს საბჭოს. ლონდონის საგრაფოს საბჭო წარმოადგენს ინგლისის დედაქალაქის ცენტრალური ნაწილის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. ლონდონის საგრაფოს — დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ საგრაფოს უკავია 117 კვადრატული მილი ტერიტორია და იქ ცხოვრობს 3,5 მილიონზე მეტი კაცი. საბჭოს სათავეში უდგას ლეიბორისტული უმრავლესობა.

საბჭოთა სტუმრების პატივსაცემ დარბაზობას კაუნტი ჰოლში დაესწრო 300-ზე მეტი მოწვეული პირი, რომელთა შორის იყვნენ საგრაფოს საბჭოს ყველა წევრი — ოლდერმენები და მრჩევლები, ლონდონის ყველა იმ მუნიციპალური რაიონის მერები, რომლებიც საგრაფოს შემადგენლობაში შედიან, საბინაო მშენებლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მინისტრი დ. სენდისი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ლორდი ოდინგი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ჰ. ჰეიტსკელი და სხვა მოღვაწეები.

საბჭოთა ხელმძღვანელებს კაუნტი ჰოლში შეხვდნენ ლონდონის საგრაფოს საბჭოს თავმჯდომარე ქ-ნი ელენ ბენტუიჩი, საბჭოს ვიცე-თავმჯდომარეები, ლეიბორისტული უმრავლესობის და კონსერვატიული ოპოზიციის ლიდერები. ნ. ა. ბულგანინმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა, მათმა თანმხლებმა პირებმა და ყველა მიწვეულმა ადგილები დაიკავეს საბჭოს სხდომათა დარბაზში.

ქ-ნმა ბენტუიჩმა მისალმებით მიმართა საბჭოთა სტუმრებს. ლონდონის მცხოვრებთა სახელით ქ-ნმა ბენტუიჩმა სიხარული გამოთქვა საბჭოთა ხელმძღვანელების ვიზიტის გამო, რომლებიც, როგორც მან ხაზგასმით აღნიშნა, ინგლისში ჩამოვიდნენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ ისეთი მდგომარეობის შექმნას, როცა მშვიდობა განმტკიცებულ იქნება მსოფლიოს ყველა ხალხის ინტერესებისათვის. მიმართა რა ნ. ა. ბულგანინს, ქ-ნმა ბენტუიჩმა გაიხსენა მისი სიტყვები იმის შესახებ, რომ სსრ კავშირისა და ინგლისის დედაქალაქები, რომლებსაც კარგი მეგობრული ურთიერთობა აქვთ, კარგ ტონს აძლევენ მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობას. ქ-ნმა ბენტუიჩმა იმედი გამოთქვა, რომ ორივე ქვეყნის — სსრ კავშირისა და ინგლისის მთავრობები თავიანთ ურთიერთობაში ივლიან იმავე კარგი გზით, როგორიც უკვე დასახეს ლონდონისა და მოსკოვის მუნიციპალურმა წარმომადგენლობებმა. ქ-ნ ბენტუიჩის სიტყვას დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ და ტაშით აწყვეტინებდნენ.

ლონდონის საგრაფოს საბჭოს სახელით ქ-ნმა ბენტუიჩმა გამოაქვეყნა ქვემოთ მოყვანილი მისასალმებელი აღრესი საბჭოთა ხელმძღვანელებისადმი, დაწერილი ეტრატზე, და გადასცა იგი სტუმრებს:

ლონდონის საგრაფოს საბჭოს მისასალმებელი აღრესი

ბ-ნ ნიკოლოზ აღექსანდრეს-ძე ბულგანინს,
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
და ბ-ნ ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვს,
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს.

თქვენო აღმატებულებავ,

ჩვენ, ლონდონის საგრაფოს მცხოვრებთა წარმომადგენლები, მოგესალმებით მათი სახელით. თქვენი ვიზიტი ჩვენს ისტორიულ დედაქალაქში — ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობისა და იმპერიის გულში სიამოვნებას გვგვრის და ვამაყობთ იმით, რომ დღეს საღამოს მობრძანდით კაუნტი ჰოლში. გთხოვთ გადასცეთ თქვენი ქვეყნის ხალხებს ჩვენი მისალმება და იმედი, რომ მალე, შესაძლოა, უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს.

მუდამ გვეხსომება ის საბედისწერო წლები, როცა ერთად ვიბრძოდით საერთო საქმისათვის, ხოლო ჩვენი და თქვენი მოქალაქენი ასე მძიმედ იტანჯებოდნენ საერთო მტრის აგრესიისაგან. თქვენი დღევანდელი აქ ყოფნა აღორძინებს იმ თანაგრძნობასა და ურთიერთგაგებას, რომელიც იმ ისტორიულ დროს არსებობდა.

არის ბევრი და მნიშვნელოვანი უთანხმოება, რომლებიც ჰყოფს ჩვენს ორ ხალხს, და ყოველი მოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს ამ უთანხმოების გადალახვას, ძვირფასია ჩვენი ორივე ხალხისა და მთელი მსოფლიოსათვის. ჩვენი ქვეყნების ადამიანთა შორის ვიზიტების თავისუფალი გაცვლა, რაც ხელს უწყობს ურთიერთ გაგებისა და მეგობრობის დამყარებას, შეიძლება გახდეს ამ დაახლოების საფუძველი.

ჩვენ გვახარებს ის, რომ ჩვენი საბჭოს ხელმძღვანელი წევრებისათვის შესაძლებელი გახდა ენახათ შარშან საბჭოთა კავშირი, შეხვედროდნენ თქვენს თანამემამულეებს და საკუთარი თვალით დაენახათ თქვენი დედაქალაქის სილამაზე და თქვენი დიდი მიღწევები ხალხის კეთილდღეობის დარგში. ჩვენც ბევრი რამ გვაქვს, რაც შეგვიძლია გიჩვენოთ როგორც ჩვენს საყვარელ ლონდონში, ისე ჩვენს საზოგადოებრივი მომსახურების დაწესებულებებში. იმედი გვაქვს, რომ შეძლებთ ნახოთ ზოგიერთი მათგანი თქვენი მოგზაურობის დროს.

უკანასკნელ თვეებში სიამოვნება გვქონდა მიგვეღო აქ ზოგიერთი თქვენი თანამემამულე, და იმედი გვაქვს, რომ ეს ვიზიტები დაეხმარნენ ორივე მხარეს დაემყარებინათ მეტი ურთიერთგაგება ჩვენთვის ბევრი საერთო პრობლემის განხილვისას.

ლონდონის მოსახლეობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს თქვენს მოგზაურობას და ილოცებს, რომ თქვენმა მოლაპარაკებამ აქ დააახლოოს ჩვენი ქვეყნები ურთიერთგაგების საქმეში. ჩვენ — ლონდონის საგრაფოს საბჭოს ოლდერმენები და მრჩევლები — მთელ ჩვენს ხალხთან ერთად ვიზიარებთ იმედს, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება შეიქმნას ისეთი ატმოსფერო ყველა ხალხთა ურთიერთობაში, რომელსაც მოჰყვება მტკიცე მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

* * *

გულთბილი საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, რამაც არა ერთხელ გამოიწვია დამსწრეთა მხურვალე ტაში.



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი ინგლისში. ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა ვიზიტი გაუკეთეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს სერ ანტონი იდენს მის რეზიდენციაში დაუნინგ-სტრიტზე, 10. **სურათზე** (მარცხნიდან მარჯვნივ): ნ. ა. ბულგანინი, ა. იდენი, ნ. ს. ხრუშჩოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი.

ფოტო ვ. ეგოროვისა. (საკდესის ფოტოკორესპ.).

გაზეთი „სოვეტსკაია როსია“

1956 წლის 1 ივლისიდან გამოვა ახალი გაზეთი „სოვეტსკაია როსია“ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს რუსეთის სფსრ ბიუროს და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო. გაზეთი გამოვა კვირაში ექვსჯერ, „პრავდის“ ფორმატის ოთხ გვერდზე, მასობრივი ტირაჟით.

გაზეთში გაშუქდება ეკონომიკისა და კულტურის, პარტიული და საბჭოთა მშენებლობის, განათლების, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის, ხელოვნების საკითხები, აგრეთვე საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები. გაზეთი მოახდენს საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავეების საუკეთესო გამოცდილების პოპულარიზაციას, გააცნობს თავის მკითხველებს ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის უმნიშვნელოვანეს ამბებს.

რუსეთის სფსრ ქალაქებსა და სოფლებში ამჟამად დაიწყო ხელის მოწერა ახალ გაზეთზე. ხელის მოწერას იღებენ „სოიუზპეჩატის“ განყოფილებები, კავშირგაბმულობის კანტორები, განყოფილებები და საagენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე ხელის მოწერის მიღების პუნქტები და საზოგადოებრივი რწმუნებულები საწარმო-დაწესებულებებში, სასწავლებლებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

ცემენტის ახალი ქარხნის პირველი პროდუქცია

რუსთავი. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავი რუსთავის მშენებლებმა მორიგი გამარჯვებით აღნიშნეს. მათ დაამთავრეს ცემენტის ახალი ქარხნის პირველი რიგის მშენებლობა და 21 აპრილს საექსპლოატაციოდ გადასცეს იგი. ქარხნის საამქროები აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. ცემენტის წარმოების ყველა პროცესი მექანიზებულია. საწარმოში ფართოდ არის გამოყენებული ავტომატიკა.

26 აპრილს საღამოს 7 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 8) **მოწვეულია საქართველოს პროფკავშირთა მეოთხე რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენცია.**

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 25 და 26 აპრილს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს შენობაში (გრიბოედოვის ქ. № 19, ოთახი № 35, 36 და 37, ტელეფონები 3-47-42 და 3-48-06).

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი ინგლისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

პატივცემულო ქ-ნო საბჭოს თავმჯდომარეე!

ბატონო ოლდერმენებო და მრჩევლებო!

ბატონო ლონდონის საგრაფოს მუნიციპალური რაიონების მერებო!

ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა მოგახსენოთ გულთბილი და მეგობრული სალამის სიტყვებისათვის, შესანიშნავი შეხვედრისათვის. **(ტაში).**

ჩვენთვის მეტად სასიამოვნოა ვიყოთ აქ თქვენს შორის, ლონდონის საგრაფოს საბჭოში — ქალაქ ლონდონის ამ ცენტრში.

უნდა მოგახსენოთ, რომ როგორც მე, ისე ჩემმა მეგობარმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ბევრი დრო და შრომა მოვახმარეთ მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების განვითარებისა და მშენებლობის საქმეს. მუნიციპალურ ასპარეზზე საქმიანობამ ბევრი რამ გვასწავლა. ხელი შეგვიწყო შეგვეძინა დიდი გამოცდილება, უკეთ გავეცნო ჩვენი ქვეყნის ადამიანები და ქალაქები. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მუნიციპალური ორგანოების და განსაკუთრებით დედაქალაქის ორგანოების საქმიანობას. მე შემთხვევით როდი მითქვამს, რომ დედაქალაქები ტონს იძლევიან. ჩვენი დედაქალაქები. მართლაც, იძლევიან კარგ ტონს, მეგობრობის ტონს, ყველა ხალხისათვის მშვიდობის ტონს. **(ტაში).**

როცა მშვიდობაზე ვლაპარაკობთ, მინდა ვისარგებლო, ქალბატონო საბჭოს თავმჯდომარეე, მოსაზრებებით, რომლებიც თქვენ გამოთქვით ჩვენი დედაქალაქების კონტაქტების შესახებ. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ასეთი კონტაქტები ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის სულისკვეთების განვითარებას. კარგია, რომ თქვენი დელეგაციაა გასული წლის დამლევს მოსკოვში ჩამოვიდა. ჩვენი სურვილია, რომ სულ უფრო მეტი ლონდონელი ჩამოდიოდეს მოსკოვში და სულ უფრო მეტი მოსკოველი ლონდონში. **(ტაში).** ჩვენ ყოველთვის მოხარული ვიქნებით მივესალმოთ მოსკოვში და ჩვენი ქვეყნის სხვა ნაწილებში ინგლისის, ქალაქ ლონდონისა და ლონდონის საგრაფოს ყოველ წარმომადგენელს.

ამჟამად საბჭოთა ადამიანებსა და ინგლისელებს შორის ყველაფერი მოგვარებული და ნათელი როდია. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საკითხი, რომელთა შესახებ სათანადო ურთიერთგაგება არა გვაქვს. ჩვენ უნდა გავაფართოოთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა ყველა მიმართულებით, და რაც უფრო ფართო იქნება იგი, მით უფრო მეტი გაგება იქნება ჩვენს შორის.

მინდა ვისურვო, რომ ლონდონისა და მოსკოვის მეგობრობა მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს. ამ ორი დედაქალაქის საქალაქო ხელისუფლებს, უეჭველია, გამოუჩნდებათ ბევრი საერთო საკითხი, რომლებიც ეხება მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფას და საქალაქო მეურნეობის გაძღოლას. ამ დარგში გამოცდილების გაზიარება დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც მოსკოველებს, ისე ლონდონელებს. ამასთანავე იგი ხელს შეუწყობს დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთგაგების გაუმჯობესებას და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებას, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ორივე ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ ლონდონელები დიდ ინტერესს იჩენენ იმ მოლაპარაკებისადმი, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ პატივცემულ სერ ანტონი იდენთან და მის კოლეგებთან. იმ მოლაპარაკების გამოცდილებიდან, რომელიც ამ დღეებში მიმდინარეობდა, შეიძლება ერთი რამ ითქვას, რომ ორივე მხარეს სურს, რათა მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდეს. **(ტაში).** მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე უნდა გადავლახოთ, რათა ყველაფერი კარგად დამთავრდეს. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ვეცდებით — და მე მგონია ინგლისის მხარეც ეცდება — გადავლახოთ ეს სიძნელეები, რათა, კარგად ვიმუშაოთ და ერთმანეთს დავემშვიდობოთ როგორც კარგი მეგობრები.

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გადაგიხადოთ მადლობა გულთბილი და მეგობრული შეხვედრისათვის, გისურვოთ თქვენ და ყველა ლონდონელს წარმატებები და აყვავება. **(ტაში).** წარმატებას გისურვებთ აგრეთვე თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებაში გახადოთ მშვიდობა მტკიცე და ურღვევი, ხოლო ხალხთა ურთიერთობა — გულწრფელი და ძმური. **(ტაში).**

გაუმარჯოს მეგობრობას საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხალხებს შორის! **(ხანგრძლივი ტაში.)**

* * *

საბჭოს სხდომათა დარბაზში ცერემონიის დამთავრების შემდეგ ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები ქ-ნ ბენტუიჩთან და ლონდონის საგრაფოს საბჭოს სხვა ხელმძღვანელებთან ერთად გადავიდნენ კაუნტი ჰოლის სალონებში, სადაც მათ უჩვენეს დასურათებული გამოფენა, რომელიც აშუქებს საბჭოს ორგანოების მუშაობას და მიღწევებს. მათ წარუდგინეს ლონდონის მუნიციპალური რაიონების მერები. კაუნტი ჰოლის დიდ მისაღებ დარბაზში გაიმართა საუბარი ნ. ა. ბულგანინს, ნ. ს. ხრუშჩოვსა და ლონდონის მუნიციპალურ მოღვაწეებს შორის.

დარბაზობის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელები დაბრუნდნენ თავიანთ რეზიდენციაში — ოტელ „კლერიჯში“.

* * *

ლონდონი, 23 აპრილი. **(საკუთარი სპეც. კორ.).** დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი ლონდონიდან თვითმფრინავით გაემგზავრნენ ბირმინჰამში — ინგლისის სიდიდით მეორე ქალაქსა და დიდ სამრეწველო ცენტრში.

ლონდონის აეროპორტში საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის მინისტრი უოტკინსონი, ვაჭრობის მინისტრი ტორნიკროფტი, ინგლისის ავიაკომპანიის „ბრიტიშ ოვერსის ეირუეის კორპორეიშნის“ გამგეობის წარმომადგენელი ტომასი და აეროპორტის კომენდანტი დ' ალბიაკი.

ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის მინისტრის უოტკინსონის მიწვევით ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა და მათმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ინგლისის უახლესი სამგზავრო ოთხმოტორიანი ტურბინხრახნიანი თვითმფრინავი „ბრიტანია“.

შემდეგ სტუმრები ავიდნენ ოთხმოტორიან თვითმფრინავ „ვიკაუნტზე“, რომელიც ინგლისის მთავრობამ მათს განკარგულებაში გადასცა. 11 საათზე (13 საათზე მოსკოვის დროით) ისინი გაფრინდნენ ბირმინჰამში.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმინჰამში

ბირმინჰამი, 23 აპრილი. **(საკუთარი სპეც. კორ.).** 11 საათსა და 45 წუთზე ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ლონდონიდან ჩამოვიდნენ ელმდონის აეროდრომზე ბირმინჰამში.

საბჭოთა სტუმრებს მათს მოგზაურობაში ახლდნენ დიდი ბრიტანეთის ვაჭრობის მინისტრი პ. ტორნიკროფტი და დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში უ. ჰეიტერი. ნ. ა. ბულგანინთან და ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, აკადემიკოსები ა. ნ. ტუპოლევი და ი. ვ. კურჩატოვი და სხვა პირები, რომლებიც ახლავან საბჭოთა ხელმძღვანელებს მათს მოგზაურობაში.

აეროდრომზე საბჭოთა სტუმრებს შეხვდა ბირმინჰამის მერი ა. ლ. გიბსონი. მისი თანხლებით სტუმრები წავიდნენ მუნიციპალურ საბჭოში, რომელიც ბირმინჰამის ცენტრში მდებარეობს. ავტომობილების კორტეჟმა გაიარა ინგლისის უდიდესი ინდუსტრიული ცენტრის ქალაქ ბირმინჰამის ძველი გარეუბნები, სადაც თავმოყრილია ინგლისის მეტალურგიული და ქიმიური საწარმოების და მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხნების მნიშვნელოვანი ნაწილი. თოთქმის მთელ გზაზე ბირმინჰამის ცენტრამდე და განსაკუთრებით მუნიციპალური საბჭოს შენობის მახლობლად მდებარე ქუჩებში საბჭოთა ხელმძღვანელების გაცლას ელოდნენ ქალაქის მცხოვრებთა მასები. ბევრი შემხვედრი სიხარულით მიესალმებოდა ამხანაგებს ბულგანინსა და ხრუშჩოვს. მუნიციპალური საბჭოს წინ მოედანზე შეიკრიბა ხუთი ათასამდე კაცი.

მუნიციპალური საბჭოს ერთ-ერთ დარბაზში საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად მოეწყო სამოქალაქო დარბაზობა. ბირმინჰამის ლორდ-მერი ა. ლ. გიბსონი მუნიციპალური საბჭოს წევრებისა და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქმიანი წრეებისა და პროფკავშირების წარმომადგენელთა დასწრებით მიესალმა ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს.

ბირმინჰამი, 23 აპრილი. **(საკუთარი სპეც. კორ.).** როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბირმინჰამის მუნიციპალური საბჭოს ერთ-ერთ დარბაზში 23 აპრილს ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად მოეწყო სამოქალაქო დარბაზობა. ბირმინჰამის ლორდ-მერმა ა. ლ. გიბსონმა საბჭოს წევრებისა და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროფკავშირებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დასწრებით მისალმებით მიმართა ამხანაგებს ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს.

ლორდ-მერ ა. ლ. გიბსონის მისალმება

ა. ლ. გიბსონმა საბჭოთა სტუმრებს გადასცა გულითადი სალამი ქალაქის მცხოვრებლებისაგან, რომლებიც, როგორც მან ხაზგასმით აღნიშნა, ამაყობენ ამ ვიზიტით. მან გაიხსენა მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც დამყარდა ბირმინჰამის მუნიციპალურ საბჭოსა და საბჭოთა კავშირს შორის, და, კერძოდ, თავისი მოგზაურობა სვერდლოვსკსა და მოსკოვში გასული წლის აგვისტოში.

დარწმუნებული ვარ, თქვა ლორდ-მერმა, რომ ეს კონტაქტები ჩვენს ქალაქსა და თქვენს ქვეყანას შორის თავის როლს შეასრულებს ორი ქვეყნის იმ უფრო ღრმა ურთიერთგაგების შექმნაში, რომელიც ბირმინჰამში ყველას სურს და იმედი აქვს, რომ იგი განვითარდება მტკიცე მეგობრობად. **(ტაში).** ვფიქრობ, რომ ჩვენი სიხარული საბჭოთა კავშირის ხალხისა და ინგლისის ხალხის ურთიერთგაგების განვითარებაში გახდა იმის მიზეზი, რომ ბირმინჰამი შეიტანეს თქვენი მოგზაურობის ისედაც უკვე დატვირთულ პროგრამაში. მაგრამ ჩვენ გვსურს არა მარტო კონტაქტები მთავრობათა მეთაურებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის, არამედ უფრო ფართო კონტაქტები ჩვენი ორი ქვეყნის თვით ხალხებს შორის. **(ტაში).**

დასასრულ ლორდ-მერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბირმინჰამის მოსახლეობა გამსჭვალულია კეთილი ნებით საბჭოთა კავშირის ხალხისადმი. ა. ლ. გიბსონმა დამსწრეთა ტაშის გრიალში თქვა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბირმინჰამში!“.

მან იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელების ვიზიტი ბირმინჰამში ხელს შეუწყობს ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნას, რომელმაც შეიძლება უზრუნველყოს მშვიდობის განმტკიცება.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნ. ა. ბულგანინმა.

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა თავისი სახელით და ნ. ს. ხრუშჩოვის სახელით მადლობა გადაიხადა იმ გულთბილი მეგობრული მიღებისათვის, რომელიც ლორდ-მერმა, მისმა კოლეგებმა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მოუწყეს, და გადასცა მათ სალამი საბჭოთა ხალხისაგან, განსაკუთრებით სვერდლოვსკელებისაგან, რომლებთანაც ბირმინჰამის მოქალაქეებს კარგი მეგობრობა აქვთ. ნ. ა. ბულგანინის ამ სიტყვებს დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

ბირმინჰამი ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში, განაგრძო ნ. ა. ბულგანინმა, როგორც ინგლისის სამრეწველო დიდების ქალაქი, რომელიც დიდი მგზავრობა გამოიჩინა წარსულ მსოფლიო ომში. საბჭოთა ხალხს ახსოვს შრომითი მეცადინეობა, რომელიც ბირმინჰამელებმა განახორციელეს ჩვენს საერთო მტერზე გამარჯვებისათვის. ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ცნობილია გმირი ქალაქები: სევასტოპოლი, ლენინგრადი, სტალინგრადი და სხვები. თქვენს ბირმინჰამს, რომელიც თავდადებით შრომობდა გამარჯვების საქმისათვის მიუხედავად მტრის მიერ გაფთრებული დაბომბვისა, სამართლიანად შეიძლება ეწოდოს გმირი ქალაქი. **(ტაში).** თქვენი ქალაქის მოქალაქეებმა ბევრი რამ გაიკეთეს ომის წლებში და კარგად მუშაობენ მშვიდობის წლებშიც.

ნ. ა. ბულგანინი მიესალმა აქტიურ კავშირს, რომელიც დამყარდა ბირმინჰამის მუნიციპალურ ხელისუფლებსა და საბჭოთა ადამიანებს შორის. ინგლისისა და საბჭოთა ქალაქებს შორის კავშირის გაფართოება, განაგრძო ნ. ა. ბულგანინმა, კარგი წამოწყებაა, იგი ხელს უწყობს ბრძოლას მშვიდობის განმტკიცებისათვის. მშვიდობისათვის ბრძოლა წმიდა საქმეა. ყველა ხალხს სურს მშვიდობა და მეგობრობა. არავის არა სურს ომი. **(ტაში).**

ნ. ა. ბულგანინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისში საბჭოთა ხელმძღვანელების ვიზიტის მიზანია ხელი შეუწყოს ამ ქვეყანასთან მეგობრობის განმტკიცებას, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

ჩვენს ქვეყნებს წარსულში კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, თქვა შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მათ შორის წარმოიშვა ერთგვარი გაუგებრობა, ჩვენს ურთიერთობას ერთგვარი სიცივე დაეტყო. ნუ შევუდგებით ახლა იმის გარკვევას, თუ რა მოხდა და რა იყო ამისი მიზეზი. **(ტაში).** ალბათ ზოგ რამეში დამნაშავეა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. ჩვენ ინგლისში ჩამოვედით იმისათვის, რომ შევეცადოთ მოვსპოთ ეს სიცივე, დავამყაროთ კარგი ურთიერთობა ჩვენს ქვეყანასა და დიდ ბრიტანეთს შორის. **(ტაში).**

ნ. ა. ბულგანინმა რწმენა გამოთქვა, რომ სსრ კავშირსა და ინგლისს შეუძლიათ მეგობრულად იცხოვრონ, მშვიდობიანად თანაარსებონ და თანამშრომლონ ურთიერთსასარგებლოდ ყველა დარგში: კულტურის დარგში, სახელმწიფო ურთიერთობის დარგში, ვაჭრობის დარგში.

ჩვენ და თქვენ კარგად ვიცით, თქვა დასასრულ ნ. ა. ბულგანინმა, რომ ინგლისში ყველა ერთნაირად როდი ეპყრობა ჩვენს ვიზიტს, ყველას როდი მოსწონს ჩვენი მისწრაფება აღვადგინოთ კარგი ურთიერთობა თქვენს ქვეყანასთან. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისელი ხალხის უმრავლესობას, ისევე როგორც თქვენ, ისევე როგორც ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებს, სურს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება. გაუმარჯოს დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს! გაუმარჯოს ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!

ნ. ა. ბულგანინის უკანასკნელმა სიტყვებმა მქუხარე ტაში გამოიწვია.

მუნიციპალურ საბჭოში დარბაზობის დამთავრების შემდეგ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ლორდ-მერ ა. ლ. გიბსონის თანხლებით ავტომანქანებით გაემგზავრნენ ბირმინჰამის გარეუბან კასლ ბრომუიჩში, სადაც გაიხსნა ბრიტანეთის ტრადიციული სამრეწველო გამოფენა, რომელსაც ყოველწლიურად აწყობს ბირმინჰამის სავაჭრო პალატა.

ქალაქის რაიონების გავლისას, რომლებსაც ჯერ კიდევ ატყვია ომით გამოწვეული ნგრევის კვალი, საბჭოთა ხელმძღვანელებს შეხვდნენ ბირმინჰამის მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები. საბჭოთა სტუმრების შესახვედრად ათეულ ათასობით ბირმინჰამელი გამოვიდა.

გამოფენის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელმძღვანელებს შეხვდნენ ბირმინჰამის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ერიკ კლეისონი და ქალაქის საქმიანი წრეების სხვა წარმომადგენლები.

სტუმრები გაატარეს ბრიტანეთის სამრეწველო გამოფენის ძირითად განყოფილებაში, რომელიც მდებარეობს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ერთსართულიან საგამოფენო პავილიონში. ამ პავილიონში წარმოდგენილია ინგლისის მანქანათმშენებელი და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის სხვადასხვა დარგის პროდუქციის და საყოფაცხოვრებო საგნების ნიმუშები. მათ შორის არის წარმოების ამ დარგების უკანასკნელი სიახლეები და მიღწევები.

შემდეგ გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში ლორდ-მერმა ა. ლ. გიბსონმა და ბირმინჰამის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ე. კლეისონმა საუზმე გამართეს ბრიტანეთის სამრეწველო გამოფენის ოფიციალური გახსნის გამო. საუზმეზე საპატიო სტუმრებად იყვნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი და დიდი ბრიტანეთის ვაჭრობის მინისტრი პ. ტორნიკროფტი. საუზმეზე იყვნენ აგრეთვე ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირები მათს მოგზაურობაში და ბირმინჰამის საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

საუზმის დამთავრების შემდეგ ბირმინჰამის ლორდ-მერმა და სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ბრიტანეთის 1956 წლის სამრეწველო გამოფენა გახსნილად გამოაცხადეს. წარმოითქვა დიდი ბრიტანეთის დედოფლისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის სადღეგრძელოები.

ლორდ-მერმა ა. ლ. გიბსონმა თავის სიტყვაში აღნიშნა იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ დიდი ბრიტანეთის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო გამოფენის გახსნა წელს დაემთხვა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელების მიერ მის ნახვას. დარწმუნებული ვარ, თქვა ლორდ-მერმა, და იმედი მაქვს, რომ ასეთივე აზრისა არიან ჩვენი მრეწველობისა და ვაჭრობის ხელმძღვანელები, რომ ისეთმა ქვეყანამ, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, უნდა გაიტანოს საქონელი, რათა იცხოვროს, და რომ მან უნდა გამოიყენოს ყოველი შესაძლებლობა, რათა უჩვენოს თავისი საქონელი მთელი მსოფლიოს შესაძლო მყიდველებს.

ბირმინჰამში დღეს გახსნილი გამოფენა, განაგრძო ლორდ-მერმა, ცხადყოფს, რომ ინგლისის მრეწველობას და ინგლისელ მუშებს შეუძლიათ კარგი საქონლის გამოშვება. ჩვენთვის პრობლემა ის არის, რომ გავყიდოთ ჩვენი საქონელი, განსაკუთრებით გავყიდოთ საზღვარგარეთ. მსოფლიო ბაზრებზე მზარდი კონკურენცია, რომელიც კვლავ გვემუქრება იმ მომენტში, როცა ბევრი ქვეყანა წელში გასწორდა ომით მიყენებული ნგრევის შემდეგ, ხოლო დღემდე ჩამორჩენილად დარჩენილი ქვეყნები ინდუსტრიული ხდებიან, ჩემი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის ჩვენს ახლანდელ დიდ ბაზრობას.

ბირმინჰამის ლორდ-მერმა იმედი გამოთქვა, რომ ფირმები, რომლებმაც თავისი პროდუქცია წარმოადგინეს გამოფენაზე, შეეცდებიან დაკვეთების მიღებას. ჯერ არასოდეს არ ყოფილა ჩვენთვის, თქვა ლორდ-მერმა, ექსპორტის საჭიროება და საექსპორტოდ დაკვეთების მიღება ისეთი პატრიოტული მოვალეობა, როგორიც იგი ამჟამად არის დიდი ბრიტანეთისათვის.

საუზმეზე საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის პრობლემისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მისმა სიტყვამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია და ბევრჯერ შეაწყვეტინეს ტაშით.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ბატონო ლორდ-მერო, ბატონო საგაჭრო პალატის თავმჯდომარეე, ბატონებო!

ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც ჩვენ მოგვიწყეთ, აგრეთვე ჩვენი მადლობა მოგახსენოთ ლორდ-მერის მეუღლეს და საქმიანი წრეების ყველა აქ მყოფ წარმომადგენელს, ქალაქ ბირმინჰამის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს ჩვენთვის აღმოჩენილი პატივის გამო.

თქვენი გამოფენა, როგორც ჩანს, კარგია. ჩვენ ვეცდებით უკეთ შევიტყოთ მის შესახებ პრესიდან. თუ მოსკოვში გვკითხეს: იყავით თუ არა გამოფენაზეო, ჩვენ ვუპასუხებთ — დიახ, ვიყავით. თუ გვკითხავენ: კარგი რა ნახეთ ამ გამოფენაზეო, ვეტყვით, რომ ბევრი ხალხი ვნახეთ, მაგრამ ექსპონატები, სამწუხაროდ, არ გვინახავს. და ამას მე საყვედურის წესით როდი ვამბობ, არამედ იმისათვის, რომ ვთქვა, ჩვენ დროის უქონლობის გამო არავითარი შესაძლებლობა არა გვაქვს დავათვალიეროთ თქვენი გამოფენა. მე ვფიქრობ, რომ თქვენ გსურდათ ჩვენთვის გიჩვენებინათ ყველაფერი, რაც წარმოდგენილია თქვენს გამოფენაზე. ჩვენ ვთხოვთ საბჭოთა ელჩს და ჩვენი საელჩოს თანამშრომლებს კარგად გაიცნონ გამოფენა და გვაცნობონ თავიანთი შთაბეჭდილებანი.

თქვენს ქვეყანაში ჩვენ ჩამოვედით უაღრესად კარგი განზრახვებით. და ჩვენ ძალიან გვახარებს სტუმართმოყვარეობა, რომელსაც დიდი ბრიტანეთის მთავრობა და ინგლისელი ხალხი გვიწევენ. ვისაც აქვს უნარი წაიკითხოს ადამიანთა თვალებში, სახის გამომეტყველება, მას არ შეუძლია არ შენიშნოს, რომ ინგლისის უბრალო ადამიანებს უხარიათ ჩვენი ჩამოსვლა. მე არ მინდა გავაზვიადო ჩვენი — ჩემი და ნ. ა. ბულგანინის მნიშვნელობა როგორც პერსონებისა. მაგრამ ჩვენ წარმოვადგენთ დიდ და საინტერესო ქვეყანას — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს. თქვენ შეგიძლიათ გიყვარდეთ ან არ გიყვარდეთ ჩვენ, მაგრამ ამით საბჭოთა კავშირი არსებობას არ შეწყვეტს.

მაგრამ აქ პრესის წარმომადგენლებს შეუძლიათ მითხრან:

— მერე თქვენ ამტკიცებთ, რომ ინგლისელ ხალხს თქვენი ჩამოსვლა უხარია? განა არ გაგიგონიათ, რომ ხალხში გაისმოდა დაძახილის ცალკეული შეძახილები? დიახ, მე გავიგონე ეს, თვითონ ვნახე ორი შატარა პლაკატი, რომლებზეც რუსულ ენაზე ეწერა არამეგობრული სიტყვები საბჭოთა კავშირის მიმართ. მე ისიც კი ვნახე, რომ ვიღაცამ ხალხში მუშტი გვიჩვენა. მე კი მას ეს ადგილი ვუჩვენე (ნ. ს. ხრუშჩოვმა შუბლზე თითით წრე შეამოხაზა, ისე როგორც ამას შვრებიან, როცა სურთ აჩვენონ — ჭკუა არა გაქვსო), მე მას მივუხვიდი და იგი კარგად მიმიხვდა. რა შეიძლება ითქვას ამის გამო? რუსები ასეთ შემთხვევაში ამბობენ: „თითო მახინჯი ყოველ ოჯახშიაო“. ერთ მამასაც კი ეყოლა შვილი ჭკვიანი როდი გამოუვა ხოლმე. ხოლო, შესაძლოა, ეს მახინჯები თქვენი ოჯახიდან არც კი იყვნენ.

მე მსურს მოვაგონო იმათ, ვინც ჩვენ მუშტებს გვიჩვენებს, რომ ასეთი ხერხი უკვე იყო გამოყენებული. როგორც ჩვენში ამბობენ, „ლექსში სიტყვას ვერ ამოიგდებო“, სიმართლე პირში უნდა უთხრა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მუშტებით ბევრი ვინმე მოვიდა — ჩრდილოეთში მუშტს გვიჩვენებდნენ ინგლისელი ინტერვენტები, აღმოსავლეთში — ამერიკელი და იაპონელი ინტერვენტები, ოდესაში — ფრანგი ინტერვენტები, უკრაინაში — გერმანელი ინტერვენტები, ხოლო რუსმა ხალხმა, იცავდა რა თავის სამშობლოს, კინწყლიკვრით გარეკა ინტერვენტები. ჰიტლერმაც სცადა მოეღერებინა ჩვენთვის მუშტები, ხოლო აქედან რა გამოვიდა, თქვენ იცით. მაშასადამე, მუშტის მეთოდი ჩვენთან არ გამოდგება.

დროა დაგჭკვიანდეთ და მუშტებს არ ვუჩვენებდეთ. მუშტებით ჩხუბისათვის ნაკლები ჭკუაა საჭირო, ვიდრე ვაჭრობის წარმოებისათვის, ხალხთა შორის კარგი ურთიერთობის დამყარებისათვის.

ჩვენ თქვენთან იმისთვის კი არ ჩამოვედით, რომ მტრობა და ეჭვი დავთესოთ, არამედ კეთილი განზრახვით. ჩვენ ჩამოვედით მეგობრული ვიზიტით დიდი ბრიტანეთის პატივცემულ პრემიერ-მინისტრ სერ ანტონი იდენის მოწვევით, რისთვისაც მისი მადლობელი ვართ. ჩვენ მოლაპარაკება გვაქვს ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებთან. მოლაპარაკების ტონი მეგობრულია, მაგრამ ზოგჯერ საკმაოდ მკვეთრად და გულახდილად ვლაპარაკობთ, და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საუბრები დადებით შედეგებს მოიტანს. მაგრამ სრული შეთანხმება ჩვენს შორის შეიძლება უცბად არც მოხდეს, იმიტომ რომ ურთიერთობის გაფუჭება უფრო ადვილია, ვიდრე მოგვარება. მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ აღმოვფხვრით ბევრ დაბრკოლებას და კარგ საფუძველს შევუქმნით ისეთ ურთიერთობას, რომელიც გადაიქცევა ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობად.

მინდა ვისარგებლო თქვენი ქალაქის ხელმძღვანელებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლების აქ ყოფნით და გითხრათ, რომ მეგობრული ურთიერთობის მოგვარების საფუძველია ვაჭრობა. ჩვენ გვინდა განვავითაროთ საგაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან.

ჩვენ გვეუბნებიან, ჩვენ ახლა ვვაჭრობთო. მაგრამ ნება მიბოძეთ გკითხოთ — რა საფუძველზე წარმოებს ეს ვაჭრობა? ავიღოთ ერთი მაგალითი. თუ თქვენ ჩვენგან კიბორჩხალას იყიდით, ჩვენ კი მხოლოდ ქაშაყს მოგვყიდით, ნამდვილი ვაჭრობა არ იქნება. მართალია, ჩვენი კიბორჩხალა კარგია, თქვენი ქაშაყიც ცუდი არ არის, მაგრამ თვითონ განსაჯეთ, განა ეს ნამდვილი ვაჭრობაა? ასეთი მაგალითი შეიძლება ბევრი მოგიყვანოთ. სწორედ ასეთ ვაჭრობას გვთავაზობენ დისკრიმინაციის პირობებში. დისკრიმინაციამ კი სსრ კავშირის მიმართ არ შეიძლება არ შელახოს ჩვენი თავმოყვარეობა, არ შეიძლება არ შელახოს ჩვენი ქვეყნის ღირსება, და ჩვენ ამას შესაბამისად ვეხმაურებით. გასაგებია, რომ ასეთი ვაჭრობა ხელს ვერ შეუწყობს ქვეყნებს შორის კარგი ურთიერთობის დამყარებას. ძნელია სერიოზულად ილაპარაკო განიარაღებაზე, თუ არ აღმოიფხვრა დისკრიმინაცია ვაჭრობაში. ვაჭრობის განვითარება უნდობლობის აღმოფხვრისა და ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების დამყარების ხელსაყრელი წინამძღვრების შექმნის საფუძველია, უამისოდ კი შეუძლებელია წარმატებას მივაღწიოთ განიარაღების პრობლემის გადაჭრაში.

ზოგიერთი პოლიტიკოსი ამბობს: ვთქვათ, ომი ატყდა, სამიში ხომ არ არის სტრატეგიული საქონლით ვივაჭროთო? რა არის სტრატეგიული საქონელი? ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია თვალსაზრისზე. მაგალითად, კარაქიც შეიძლება მივაკუთვნოთ სტრატეგიულ საქონელს. ჩვენი აზრით, უარი უნდა ვთქვათ ასეთ მიდგომაზე და გავაჩაღოთ ნამდვილი ვაჭრობა. უნდა გავყიდოთ ის, რასაც ყიდულობენ. თუ არა გსურთ — ნუ მოგვყიდით ზარბაზნებს, თვითმფრინავებს, ხომალდებს, მით უმეტეს, რომ ტექნიკის ახლანდელი განვითარებისას ისინი მალე ძველდებიან. ის, რაც გუშინ კარგი იყო, ხვალ მოძველებული იქნება. ეს ყველასათვის ცხადია.

აიღეთ ავიაციის განვითარება. თქვენ ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ საბჭოთა კავშირი ჩამოგრჩებათ ავიაციის მშენებლობაში. დღეს ჩვენ გვიჩვენეს უახლესი კონსტრუქციის ინგლისური სამგზავრო ოთხმოტორიანი თვითმფრინავი. კარგი თვითმფრინავია. როგორც ჩვენ გვითხრეს, მას შეუძლია 90 კაცის წაყვანა. ჩვენი ცნობილი ავიოკონსტრუქტორი აკადემიკოსი ტუპოლევი ქმნის თვითმფრინავს, რომელიც 170 კაცს წაიყვანს. ამ თვითმფრინავსაც ოთხი მოტორი ექნება. ლონდონიდან ბირმინჰამში ჩვენ მოვფრინავდით ოთხმოტორიანი თვითმფრინავით, რომელსაც 47 კაცი მიჰყავს. ესეც კარგი თვითმფრინავია; მისი სიჩქარე საათში 500 კილომეტრია. საბჭოთა რეაქტიულ სამგზავრო თვითმფრინავს „ტუ-104“-ს აქვს ორი მოტორი, მიჰყავს 50 კაცი და 800 კილომეტრზე მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

ჩვენს საბჭოთა ადამიანებს კარგი ნივთების გაკეთება რომ შეუძლიათ, ვფიქრობ, ამაში ახლა ეჭვი არავის არ ეპარება. ჩვენს ადამიანებს აქვთ გამჭრიახობაც, ცოდნაც, გამომგონებლობაც. არ ვიცი, წაგიკითხავთ თუ არა თქვენ რუსი მწერლის ლესკოვის მოთხრობა „ცაცია". მწერალმა ძალიან კარგად გვიჩვენა ინგლისელი ოსტატები, რომლებმაც ძველ დროში გააკეთეს ნატურალური სიდიდის ფოლადის რწყილი. ეს რწყილი აჩუქეს რუსეთის მეფეს. რუსეთის მეფე გაოცდა ინგლისელთა ოსტატობით და ბრძანა მოენახათ საუკეთესო რუსი ოსტატები, რათა მათ კიდევ უფრო სრულყოფილი ნივთი გაეკეთებინათ. და აი გამოჩნდა ტულელი ოსტატი ცაცია, რომელმაც იკისრა ასეთი ნივთის გაკეთება. რა გააკეთა მან? მან ნალებით დაჭედა ეს რწყილი და ამრიგად კიდევ უფრო ნატიფი საქმეა შესრულა, რომლის ნახვა შეეძლებოდა მხოლოდ გამადიდებელი შუშით.

ასე დახატა მწერალმა რუსი ოსტატები. ვფიქრობ, ამ მოთხრობაში ბევრი გაზვიადება არ არის. ჩვენს შრომისმოყვარე და ნიჭიერ ხალხს შეუძლია შექმნას და ნამდვილად ქმნის ყოველგვარ მანქანებს. როცა სხვა ქვეყნებს არა სურთ მოგვყიდონ ჩვენთვის საჭირო მანქანები, ვაკეთებთ ყველაფერს, რაც გვესაჭიროება.

ჩვენთვისაც და თქვენთვისაც ხელსაყრელია განვავითაროთ ვაჭრობა. თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ ყველაფერი ეს თქვენზე, საქმიანი წრეების წარმომადგენლებზე, როდია დამოკიდებული, რომ ბევრი რამ დამოკიდებულია მთავრობაზე. მთავრობა კი იტყვის — ჩვენ სამოკავშირეო ურთიერთობა გვაქვს სხვა სახელმწიფოებთან და იძულებული ვართ შემოვიღოთ შეზღუდვები საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაშიო. გამოდის რაღაც ჯაჭვი. მაგრამ ეს ჯაჭვი უნდა გაწყვიტოთ. ხოლო როგორ გააკეთოთ ეს — თვითონ იფიქრეთ.

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გადაგიხადოთ მადლობა თქვენი სტუმართმოყვარეობისათვის. ჩვენ განვაგრძობთ მოლაპარაკებას დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან. ყველა საკითხს ერთბაშად ვერ გადავჭრით, მაგრამ ვეცდებით კარგი საფუძველი შეექმნათ. გულწრფელად გვსურს, რომ ჩვენმა ქვეყნებმა არასოდეს არ იომონ ერთიმეორის წინააღმდეგ. ჩვენ არავისთან არა გვსურს ომი.

წარსულში ჩვენი ხალხები არაერთხელ გამოსულან ერთად ერთ რიგებში—ნაპოლეონის წინააღმდეგაც, პირველ მსოფლიო ომშიც, მეორე მსოფლიო ომშიც საერთო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ წარსულში არაერთხელ მომხდარა ისეც, რომ ამ ომების დამთავრების შემდეგ ურთიერთობა გაუარესებას იწყებდა. ამით სარგებლობდნენ მოწინააღმდეგენი, იარაღდებოდნენ და კვლავ აჩაღებდნენ ომს. ჩვენ მეტი სიბრძნე უნდა გამოვიჩინოთ და არ დავუშვათ ახალი ომის გაჩაღება. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. გისურვებთ წარმატებებს, ვუსურვებთ ბედნიერებასა და აყვავებას ინგლისელ ხალხს.

* * *

მოკლე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე დიდი ბრიტანეთის ვაჭრობის მინისტრმა პ. ტორნიკროფტმა.

15 საათის შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დატოვეს სამრეწველო გამოფენა და გაემგზავრნენ ბირმინჰამის აეროპორტ ელმდონში, საიდანაც გაფრინდნენ მარჰემში (ნორფოლკის საგრაფო) დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების მძიმე ბომბდამშენის ბაზის დასათვალიერებლად.

ჰანსენის დეპეშა
ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

ლონდონი, 20 აპრილი. (საკდესი). ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა:

პრემიერ-მინისტრს ნ. ბულგანინს
პირველ მდივანს ნ. ხრუშჩოვს

მხურვალე მადლობას მოგახსენებთ თქვენი უაღრესად გულითადი დეპეშისათვის, რომელიც გამოგზავნეთ დანიის ნაპირებთან გავლის დროს.

ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო მეცნობებინა დანიის საზოგადოებრიობისათვის ეს დეპეშა იმ გულთბილი მიღების სამახსოვროდ, რომელიც ამას წინათ მოვიწყეს თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანაში.

სულით და გულით ვიზიარებ თქვენს გულითად მისალმებებსა და კეთილ სურვილებს.

ჰანსენი,
დანიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი.

ერლანდერის დეპეშა
ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

სტოკჰოლმი, 20 აპრილი. (საკდესი). სტოკჰოლმის ყველა გაზეთმა დაბეჭდა პრემიერ-მინისტრ ერლანდერის სპასუხო დეპეშა მისალმებაზე, რომელიც მან კრეისერ „ორჯონიკიძიდან" მიიღო ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვისაგან.

პრემიერ-მინისტრ ერლანდერის დეპეშაში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვისადმი ნათქვამია:

„სახარულით მივიღე თქვენი მისალმება, რომელიც გამომიგზავნეთ შვეიცის ნაპირებთან გავლის დროს და რომელმაც მომაგონა ჩვენი მეგობრული შეხვედრა და ჩვენი მოლაპარაკება მოსკოვში. ჩემი სახელით და შვეიცის მთავრობის სახელით გულითად სალამს გიძღვნით და კვლავ ყოველივე სიკეთეს გისურვებთ თქვენ და საბჭოთა კავშირის ხალხებს".

ა. ი. მიქოიანმა და მ. გ. პერვუხინმა მიიღეს ავსტრიის პროფკავშირთა გაერთიანების დელეგაცია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე მ. გ. პერვუხინმა მიმდინარე წლის 21 აპრილს მიიღეს ავსტრიის პროფკავშირთა გაერთიანების დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით და რომელსაც მეთაურობს ქალბატონი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის მდივანი, ავსტრიის პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალური გამგეობის წევრი გეორგ გროსაური.

საუბარში, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, ავსტრიის პროფკავშირული დელეგაციის წევრებმა ბევრი კითხვა მისცეს საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და შრომის შესახებ. კითხვებზე მიიღეს დაწვრილებითი პასუხი.

საუბრის დასასრულს დელეგაციის წევრებმა ღრმა კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების გაცნობის გამო და გამოთქვეს რწმენა, რომ ავსტრიის პროფკავშირული დელეგაციის ჩამოსვლა სსრ კავშირში ხელს შეუწყობს ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას და ურთიერთგაგებას. (საკდესი).

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის" თავმჯდომარე გენერალი კევი

21 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის" თავმჯდომარე გენერალი ერნესტ პეტი, რომელიც სსრ კავშირში მყოფება უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით.

საუბარში, რომელსაც გულთბილი და მეგობრული ხასიათი ჰქონდა, ვ. მ. მოლოტოვმა უსურვა საზოგადოებას შემდგომი წარმატებანი და მისი საქმიანობის გაფართოება საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს საზოგადოებრიობის ფართო წრეებს შორის კონტაქტებისა და მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის ხელშეწყობის საქმეში საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სასარგებლოდ. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა.

ამხ. ლ. ნ. იუდაევისა და ამხ. ვ. ვ. ბოლოტნიკოვის მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის საკავშირო ალკაჰ ქალაქ რიაზანის უტმობრის რაიკომის მდივანი ამხ. ლევ ნიკოლოზის-ძე იუდაევი და რიაზანის ი. პ. პავლოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ამხ. ვლადიმერ ვასილეს-ძე ბოლოტნიკი დაჯილდოებულ იქნენ მედლით „მამაცობისათვის".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 20 აპრილი.

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის პერსპექტიული დაგეგმვის სახელმწიფო კომისიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

პარტიის XIX ყრილობის მიერ მიღებული დავალებები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმისა წარმატებით შესრულდა, ხოლო ბევრი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად საბჭოთა კავშირმა დიდად გადააჭარბა სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელ დონეს. 1955 წელს გამოშვებული იყო სამრეწველო პროდუქცია 3,2-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს; ამასთან საწარმოო საშუალებათა წარმოება გადიდდა 3,9-ჯერ. მძიმე მრეწველობის წარმატებით განვითარებამ და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდამ უზრუნველყო სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდება ხუთწლედის ბოლოსათვის 2-ჯერ და უფრო მეტად ომამდელ დონესთან შედარებით. ბევრი უმნიშვნელოვანესი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოებით სსრ კავშირმა შორს მოიტოვა უკან ევროპის ყველა ქვეყანა, თუმცა ერთ სულ მოსახლეზე წარმოების დონით სსრ კავშირი ჯერ კიდევ ჩამორჩება ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა მეხუთე ხუთწლედში (1955 წლის 1 ივლისის ფასებში) შეადგენდა 594 მილიარდ მანეთს ყველა ომამდელი ხუთწლედის 322 მილიარდ მანეთის ნაცვლად და 91 პროცენტით გადიდდა მეოთხე ხუთწლედის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობასთან შედარებით.

მეხუთე ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად ამაღლდა საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონე. სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1955 წელს 2,8-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1940 წელს. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონლბრუნვა ამავე ხნის განმავლობაში ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა.

მეხუთე ხუთწლედში კვლავ ვითარდებოდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობა. საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გადიდდა. ამასთან სსრ კავშირიდან მანქანებისა და მოწყობილობის, აგრეთვე შავი და ფერადი ლითონების გატანა ხუთწლედში 2,7-ჯერ გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებთანაც სსრ კავშირი საგარეო ვაჭრობას ეწევა.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურული დონის მიხედვით ასე ხასიათდება.

I. მრეწველობის დარგში

1. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი ხუთწლედში სამრეწველო წარმოების დონის დაახლოებით 70 პროცენტით ამაღლების დარგში შესრულდა ვადამდე, 4 წელიწადსა და 4 თვეში. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 85 პროცენტით გადიდდა, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება (ჯგუფი „ა") ხუთწლედში გადიდდა 91 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოება (ჯგუფი „ბ") — 76 პროცენტით.

მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა ხუთწლიანი გეგმის დავალებანი უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის: ფოლადის, შავი ლითონების ნაგლინის, ალუმინის წარმოების, ქვანახშირის, ნავთობის, ტორფის, ფიქალების ამოღების, ელექტროენერგიის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის, ავტომობილების, ტრაქტორების, კალცინირებული სოდის, ცემენტის, შიფერის, გაპრიალებული მინის, ქაღალდის, შალის ქსოვილების, კონსერვებისა და სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების ზრდის დარგში. ამავე დროს ცალკეულ სახეობათა პროდუქციის დარგში ხუთწლიანი გეგმის დავალებები შესრულებული არ არის.

2. მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ 1951-1955 წლებში თითქმის ერთიორად გადააჭარბა 1946-1950 წლების კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას.

მეხუთე ხუთწლედის წლებში აშენდა და ამუშავდა სამი ათასზე მეტი ახალი დიდი სამრეწველო საწარმო. გადიდდა მოქმედი საწარმოების საწარმოო სიმძლავრენი აგრეგატების რეკონსტრუქციის, წარმოების მექანიზაციისა და ინტენსიფიკაციის, ძველი მოწყობილობის შეცვლის ან ახლის დადგმის და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების გზით. მაგრამ კაპიტალური მშენებლობის გზით საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა მრეწველობის ბევრ დარგში მნიშვნელოვანი დანაკლისით არის შესრულებული.

მრეწველობის ყველა დარგში ამაღლდა ტექნიკური დონე: გაიზარდა საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია, ამაღლდა მძიმე და შრომატევად საამუშაოთა მექანიზაციის დონე, ინერგებოდა დიდი წარმადობის ახალი მანქანები და მექანიზმები, მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები და წარმოების ორგანიზაციის მეთოდები. დაიწყო მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენება. ამავე დროს ტექნიკური პროგრესის ტემპები საკმარისი არ იყო, ახალი ტექნიკა საკმაოდ ინტენსიურად არ მუშავდებოდა და სუსტად ინერგებოდა სახალხო მეურნეობაში.

3. მეხუთე ხუთწლედის წლებში რამდენადმე გაუმჯობესდა საწარმოო ძალების განლაგება. ნედლეულისა და სათბობის წყაროებთან მრეწველობის შემდგომი მიახლოების მიზნით უფრო სწრაფი ტემპებით ხორციელდებოდა მშენებლობა აღმოსავლეთ რაიონებში. კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 1951-1955 წლებში ურალის რაიონებში მეოთხე ხუთწლედთან შედარებით გადიდდა 2,2-ჯერ, დასავლეთ ციმბირში — 2,3-ჯერ, აღმოსავლეთ ციმბირში — 2,1-ჯერ, შუა აზიასა და ყაზახეთში — 2,2-ჯერ.

ამასთანავე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი სამრეწველო საწარმოთა გეოგრაფიული განლაგების გაუმჯობესების ხაზით მთელ რიგ დარგებში დამაკმაყოფილებლად არ არის შესრულებული. სუსტად ვითარდებოდა ელექტროტევადი და სათბობტევადი საწარმოები ციმბირის რაიონებში, რომლებშიც სათბობისა და ენერგეტიკის დიდი რესურსები მოიპოვება. საკმარისი ტემპებით ვერ ხორციელდებოდა შუბუქი და კვების მრეწველობის განვითარება აღმოსავლეთ რაიონებში, რამაც გამოიწვია სახალხო მოხმარების საქონლის ზედმეტი გადაზიდვა სსრ კავშირის ევროპული ნაწილიდან.

სსრ კავშირის ევროპული ნაწილის რაიონებში სათბობის მრეწველობისა და ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის განვითარება ჩამორჩებოდა სათბობსა და ელექტროენერგიაზე ამ რაიონთა მეურნეობის მოთხოვნილების ზრდას.

4. **შავი მეტალურგიის** დარგში ხუთწლიანი გეგმის დავალებანი ფოლადისა და ნაგლინის წარმოების ხაზით გადაჭარბებით არის შესრულებული, ხოლო თუჯის ხაზით შესრულებულია ერთგვარი დანაკლისით. 1955 წელს წარმოებულია 33 მილიონი ტონა თუჯი, 45 მილიონი ტონა ფოლადი და 35 მილიონი ტონა ნაგლინი. 1950 წელთან შედარებით ფოლადის გამოდნობა გადიდდა 66 პროცენტით ნაცვლად 62 პროცენტისა, ნაგლინის წარმოება — 69 პროცენტით ნაცვლად 64 პროცენტისა და თუჯის გამოდნობა — 74 პროცენტით ნაცვლად 76 პროცენტისა ხუთწლიანი გეგმის მიხედვით.

სქელფურცლოვანი ფოლადის წარმოება ხუთწლედში გადიდდა 88 პროცენტით, წვრილსორტული ფოლადისა—2-ჯერ, მსხვილი მავთულისა — 2,1-ჯერ, უჟანგავი ფურცლოვანი ფოლადისა — 2,8-ჯერ და ტრანსფორმატორული ფოლადისა — 2,3-ჯერ.

გაფართოვდა ნაგლინის სორტამენტი. გასულ ხუთწლედში მეტალურგებმა წარმოებაში დანერგეს 150-მდე ახალი მარკის ფოლადი. მაგრამ ყველაზე ეკონომიური და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ახალი პროფილებისა და მარკების ლითონის წარმოების ათვისება ნელა ხდებოდა.

შავი მეტალურგიის საწარმოებში გრძელდებოდა მუშაობა მეტალურგიული პროცესების ინტენსიფიკაციის, მეტალურგიული აგრეგატების ავტომატიზაციისა და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისათვის. ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 22 პროცენტით გაუმჯობესდა, ფოლადის სადღეღამისო აღება მარტენის ღუმელების 1 კვადრატულ მეტრ ქვედზე 22 პროცენტით გაიზარდა. ამავე დროს ნელა ფართოვდებოდა ჟანგბადის გამოყენება მეტალურგიული პროცესების ინტენსიფიკაციისათვის, სუსტად ინერგებოდა სამთო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია.

თუჯის, კოქსის, რკინის მადნისა და შავი ლითონების ნაგლინის დარგში საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავებამ მეხუთე ხუთწლედში გადაამეტა სიმძლავრეთა ამუშავებას მეოთხე ხუთწლედში, მაგრამ დაწესებული დავალებანი მნიშვნელოვანწილად არ შესრულებულა. შემდგომ განვითარდა შავი მეტალურგია სამხრეთის, ურალის, ციმბირისა და ცენტრის რაიონებში, აგრეთვე ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთის რაიონებში. ძირითადად დამთავრდა ამიერკავკასიის მეტალურგიული და ბაქოს მილსაგლინავი ქარხნების მშენებლობა, ამუშავდა ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნისა და ორსკ-ხალილოვოს მეტალურგიული კომბინატის პირველი ბრძმედები.

5. **ფერადი ლითონების** წარმოება მეხუთე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა. რაფინირებული სპილენძის გამოშვება 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა 53 პროცენტით, ალუმინისა — 2,8-ჯერ, ტყვიისა — 2,3-ჯერ, თუთიისა — 2-ჯერ, ნიკელისა — 37 პროცენტით. ამასთან მთელი რიგი ფერადი ლითონების წარმოების ზრდის დავალებანი შესრულებული არ არის.

ფერადი ლითონების წარმოების ზრდა განხორციელდა მნიშვნელოვანწილად მოქმედი საწარმოების გაფართოებით, ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციით და სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესებით. მეხუთე ხუთწლედში ათვისებული და ორგანიზებულია მაღალი სიწმინდის ლითონთა წარმოება, გადიდდა მაღალი მარკების ლითონთა გამოშვების ხვედრითი წონა. ამაღლდა სამთო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. 1955 წელს ფერადი მეტალურგიის სამთო სამუშაოებში მადნისა და ქანის აღება მექანიზებულ იქნა 74 პროცენტით 1950 წლის 45 პროცენტის ნაცვლად, ხოლო მადნის ამოღება საწმენდი სანგრევებიდან — 92 პროცენტით 65 პროცენტის ნაცვლად. ამასთან ერთად სამთამადნო საწარმოებში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით ვიყენებთ ხელის შრომას. საკმაოდ არ ხორციელდებოდა აგრეგატების მუშაობის ავტომატიზაციის ღონისძიებანი სამთო გამამდიდრებელ და მეტალურგიულ საწარმოებში, აგრეთვე ფერადი მეტალურგიის საწარმოების დაჭარებით მოწყობის სამუშაოები, რათა უზრუნველგვყოფ ნედლეულის კომპლექსური გამოყენება და ფერადი და იშვიათი ლითონების დანაკარგის შემცირება.

6. **ელექტროფიკაციის** დარგში ხუთწლედის გეგმის დავალება ელექტროენერგიის გამომუშავების ხაზით შესრულებულია გადაჭარბებით. 1955 წელს გამომუშავებულია 170 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ანუ 87 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს.

ხუთ წელიწადში რაიონულ ჰიდროელექტროსადგურებში ამოქმედდა სიმძლავრენი 2.534 ათასი კილოვატის ოდენობით. ვადამდე აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგი. 1955 წელს სამრეწველო დენი მოგვცა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის პირველმა აგრეგატმა, ჰესისა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია; წარმოებდა კუიბიშევ-მოსკოვის 400 ათასი ვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა.

გაჩაღებულია სტალინგრადის, ნოვოსიბირსკისა და ბუხტარმის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, აგრეთვე ირკუტსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე ანგარაზე.

ურალში, კუზბასში, სამხრეთში, ცენტრში და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში აშენდა და ამუშავდა დიდი თბოელექტროსადგურები, რომლებშიც, როგორც წესი, იდგმებოდა ორთქლის ტურბინები და ქვაბები ორთქლის მაღალი პარამეტრებით.

ქალაქებისა და სამრეწველო საწარმოების თბოფიკაციისათვის აშენდა და ამოქმედდა 23 რაიონული თბოელექტროცენტრალი. თბოფიკაციის აგრეგატების სიმძლავრე რაიონულ ელექტროსადგურებში ხუთ წელიწადში ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა.

ამუშავდა მსოფლიოში პირველი სამრეწველო ატომის ელექტროსადგური 5.000 კილოვატი სიმძლავრისა.

დამთავრდა აგრეგატების მართვის ავტომატიზაცია ყველა რაიონულ ჰიდროელექტროსადგურში, ინერგებოდა ავტომატიზაცია თბოელექტროსადგურებში და ენერგეტიკულ სისტემათა, ჰიდროელექტროსადგურთა და ქვესადგურთა სადისპეტჩერო პუნქტების ტელემექანიზაცია. ამავე დროს თბოელექტროსადგურებში შრომატევადი დამხმარე სამუშაოები, განსაკუთრებით სათბობის მეურნეობაში, საკმაოდ არ არის მექანიზებული.

მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის მნიშვნელოვანი ზრდისა, მეხუთე ხუთწლედში მიღწეული არ ყოფილა ენერგეტიკული მეურნეობის უფრო სწრაფი განვითარება საწარმოების ზრდასთან შედარებით. ელექტროსადგურების ამუშავების დავალებანი მთლიანად არ შესრულებულა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ჩამორჩენის გამო. იყო აგრეთვე ელექტროქსელთა და თბოქსელთა მშენებლობის ჩამორჩენა. მთელ რიგ ენერგეტიკულ სისტემებში შექმნილი არ არის ელექტროსიმძლავრეთა საჭირო რეზერვები, ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რაიონებში იყო ელექტროენერგიის ნაკლებობა.

7. ხუთწლიანი გეგმის დავალება **ნავთობის** ამოღების ზრდის დარგში შესრულებულია გადაჭარბებით. 1955 წელს ამოღებულია 71 მილიონი ტონა ნავთობი, რაც 87 პროცენტით აღემატება ნავთობის ამოღებას 1950 წლის განმავლობაში.

ნავთობის მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპები მიღწეულია ნავთობის ახალი მაღალპროდუქტიული საბადოების აღმოჩენისა და სამრეწველო დამუშავებაში მოქცევის და ნავთობის სარეწების ექსპლოატაციის პროგრესული მეთოდების ფართოდ გამოყენების საფუძველზე. ვოლგისპირეთისა და ურალის რაიონების ხვედრითი წონა ნავთობის საერთო ამოღებაში 1950 წლის 29 პროცენტიდან 1955 წელს გადიდდა 57 პროცენტამდე. დიდად განვითარდა ნავთობიან ფართობთა კონტურსიქითა წყალჩატუმბვა ფენების წნევის შესანარჩუნებლად. საექსპლოატაციო ბურღვის სიჩქარე ხუთწლედის განმავლობაში გადიდდა 42 პროცენტით და საძიებო ბურღვისა — 46 პროცენტით, ამავე დროს მნიშვნელოვნად გადიდდა ჭაბურღილთა საშუალო სიღრმე. ჭაბურღილების ბურღვამ ყველაზე პროგრესული ტურბინული წესით მიიღწია ბურღვის საერთო მოცულობის 83 პროცენტს.

ამავე დროს ნავთობის ამოღების შემდგომი ზრდის არსებული რეზერვები საკმაოდ არ იყო გამოყენებული. ნელა ინერგებოდა ფენის ჰიდრავლიკური გაგლეჯისა და ძველი ნავთობიანი ფართობების ექსპლოატაციის ეფექტიანობის გადიდების მეთოდები, სუსტად ვრცელდებოდა ბურღვის სამუშაოთა ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილება და ნელა მუშავდებოდა ბურღვის ახალი მეთოდები.

გამჭვირვალე ნავთობპროდუქტების წარმოება გადიდდა 2,2-ჯერ, აქედან საავტომობილო ბენზინისა — 2,4-ჯერ და დიზელის სათბობისა — 4,1-ჯერ. საცხები ზეთების გამომუშავება გადიდდა 1,6-ჯერ.

ახალი ქარხნების მშენებლობის მეოხებით ნავთობის გადამამუშავებელ სიმძლავრეთა გადიდებასთან ერთად ნავთობპროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი მატება მიღებულია საწარმოთა რეკონსტრუქციისა და მოქმედ ქარხნებში ტექნოლოგიურ პროცესთა ინტენსიფიკაციის შედეგად. ამასთან ნავთობის გადამამუშავებელ და განსაკუთრებით ნედლეულის საკრეკინგო ახალ სიმძლავრეთა ამუშავების დავალება მნიშვნელოვანი დანაკლისით არის შესრულებული. ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობაში ნელა მუშავდებოდა და არასაკმაო მოცულობით ინერგებოდა ახალი ტექნოლოგიური პროცესები.

8. მეხუთე ხუთწლედში შემდგომ განვითარდა **გაზის** მრეწველობა, მაგრამ ხუთწლედის დავალებანი გაზის მოპოვებისა და წარმოების გადიდების დარგში მთლიანად არ არის შესრულებული. ბუნებრივი და თანამგზავრი გაზის მოპოვება, აგრეთვე ქვანახშირისა და ფიქალებისაგან გაზის წარმოება ხუთწლედის განმავლობაში 68 პროცენტით გადიდდა და 1955 წელს 10,4 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენდა. ხუთწლედის განმავლობაში აღმოჩენილ იქნა გაზის ახალი საბადოები, გაფართოვდა გაზსადენთა ქსელი, გადიდდა გაზიფიცირებული ქალაქების რიცხვი. ამუშავდა მთელი რიგი მაგისტრალური გაზსადენები: დაშავა—კიევი—მოსკოვი, კოხტლა-იარვე—ტალინი და სხვები.

გაზის მრეწველობის განვითარება ფერხდებოდა ნავთობის თანამგზავრი გაზის დაჭერის სამუშაოთა და გაზის მისაღებად საქალაქო მეურნეობის მომზადების სამუშაოთა ჩამორჩენის გამო.

9. **ქვანახშირის** მრეწველობაში ხუთწლიანი გეგმის დავალება ქვანახშირის ამოღების დარგში გადაჭარბებით შესრულდა. ქვანახშირის ამოღება 1955 წელს შეადგენდა 391 მილიონ ტონას, ესე იგი ხუთი წლის განმავლობაში გადიდდა 50 პროცენტით ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 43 პროცენტის ნაცვლად. ამავე დროს ქვანახშირის ამოღების ზრდა, განსაკუთრებით სსრ კავშირის ევროპული ნაწილის რაიონებში, ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. საკოქსავი ქვანახშირის ამოღება ხუთწლედის განმავლობაში 50 პროცენტით გადიდდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვანახშირის დაბრიკეტება. მთლიანად არ შესრულებულა ხუთწლიანი გეგმის დავალებები ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესების დარგში: ქვანახშირის გამდიდრება გადიდდა 2,3-ჯერ, მაშინ როცა დავალებით გათვალისწინებული იყო 2,7-ჯერ.

ქვანახშირის მრეწველობაში მეხუთე ხუთწლედის მანძილზე ხორციელდებოდა მუშაობა ქვანახშირის საბადოების დამუშავების მეთოდების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მნიშვნელოვნად გადიდდა ღია წესით ქვანახშირის ამოღების მოცულობა. ვითარდებოდა ქვანახშირის ამოღების პროცესების მექანიზაცია. ქვანახშირის კომბაინების რაოდენობა ხუთ წელიწადში გაიზარ-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის პერსპექტიული დაგეგმვის სახელმწიფო კომისიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(გაგრძელება)

და 3,1-ჯერ, ქანსატვირთავი მანქანებისა — 2,7-ჯერ. დამრეცი და დახრილი ვარდნის ფენებზე ქვანახშირის დატვირთვის მექანიზაციის დონე ხუთწლედში გაიზარდა 16-დან 33 პროცენტამდე, ხოლო ძირითადი ჰორიზონტალური მოსამზადებელი გვირაბების გაყვანისას ქვანახშირის და ქანის დატვირთვის მექანიზაციის დონე — 25-დან 47 პროცენტამდე.

განვითარდა სამთო მანქანებისა და მექანიზმების ავტომატური და დისტანციური მართვა. ქვანახშირის შახტებში ინერგებოდა ლითონისა და რკინაბეტონის ახალ სახეობათა ბიგები. დაიწყო ლავებში მექანიზებული მოძრავი ბიგების გამოყენება. ამასთანავე მთელ რიგ მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. არსებულ სამთო ტექნიკას ქვანახშირის ბევრ შახტსა და ჭრილში მთლიანად არ იყენებდნენ. ქვანახშირის შახტებისა და ჭრილების სიმძლავრეთა ამუშავება მეხუთე ხუთწლედში მეოთხე ხუთწლედთან შედარებით 8 პროცენტით გადიდდა, ნაცვლად დაახლოებით 30 პროცენტით ზრდისა, რაც გათვალისწინებული იყო.

ტორფის ამოღება 1955 წელს გადიდდა 50 მილიონ ტონამდე (კოლმეურნეობების მიერ ამოღების გარდა), ანუ 42 პროცენტით 1950 წელთან შედარებით, ნაცვლად 27 პროცენტისა ხუთწლიანი გეგმის მიხედვით. პროგრესული ფრეზერული წესით ტორფის ამოღება ხუთწლედში 3-ჯერ და მეტად გაიზარდა. ტორფის მრეწველობამ მიიღო დიდძალი მოწყობილობა მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის, მაგრამ ცალკეული პროცესების მექანიზაციის დონე ტორფის მრეწველობაში ჯერ კიდევ დაბალია.

ფიქალების ამოღების დავალება შესრულებულია. 1955 წელს ამოღებულია 10,8 მილიონი ტონა ფიქალი, ანუ 2,3-ჯერ მეტი, ვიდრე 1950 წელს.

10. მეხუთე ხუთწლედში ყველაზე მაღალი ტემპებით ვითარდებოდა **მანქანათმშენებლობა**, რომელიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური პროგრესის საფუძველია. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოება ხუთწლედში გაიზარდა 2,2-ჯერ, ნაცვლად ერთიორად გადიდებისა, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული. შეიქმნა და ათვისებულია დიდი წარმადობის მანქანების, მოწყობილობისა და ზუსტი ხელსაწყოების მნიშვნელოვანი რაოდენობა მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტისათვის. გადაჭარბებით შესრულდა გადიდებული სიზუსტის ლითონსაჭრელი ჩარხების, ავტომობილების, ტრაქტორების, ხელსაწყოების წარმოების გადიდების დავალებანი. შესრულებულია საზღვაო ფლოტის სატვირთო გემებისა და ტანკერების წარმოების გადიდების დავალებანი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ენერგეტიკული მოწყობილობის წარმოება. 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა წარმოება: ორთქლის ქვაბებისა — 2,6-ჯერ, ორთქლის ტურბინებისა — 70 პროცენტით, ჰიდრავლიკური ტურბინებისა — 4,7-ჯერ, მათ შორის მსხვილი ჰიდრავლიკური ტურბინებისა — 9-ჯერ, ტურბინის გენერატორთა წარმოება — 4,8-ჯერ, მსხვილი ელექტრომანქანებისა — 2,6-ჯერ, 100 კილოვატზე მეტი სიმძლავრის გენერატორებისა — 2,9-ჯერ, ძალტრანსფორმატორებისა — 1,9-ჯერ.

მეტალურგიული მოწყობილობის წარმოება გადიდდა 55 პროცენტით, მათ შორის საგლინავი მოწყობილობისა — 64 პროცენტით; ქიმიური მოწყობილობის წარმოება გაიზარდა 2,6-ჯერ, ქაღალდისა და ცელულოზის მრეწველობის მოწყობილობისა — 2,4-ჯერ.

მსხვილი ლითონსაჭრელი ჩარხების გამოშვება ხუთ წელიწადში გაიზარდა 2,3-ჯერ, გადიდებული სიზუსტის ჩარხებისა — 2,1-ჯერ, მძიმე სამჭედლო-საშენო მანქანებისა — 5,6-ჯერ, ხელსაწყოებისა — 3-ჯერ.

მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების წარმოების დონე: ტრაქტორებისა — 50 პროცენტით, მათ შორის დიზელიანი ტრაქტორებისა — 82 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებისა — 2-ჯერ. 1955 წელს გამოშვებულია 163 ათასი ტრაქტორი.

1955 წელს გამოშვებულია 445 ათასი ავტომობილი, ანუ 23 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს.

საზღვაო ფლოტის სატვირთო გემებისა და ტანკერების გამოშვება ხუთ წელიწადში გადიდდა 2,9-ჯერ, სამდინარო სამგზავრო გემებისა — 87 პროცენტით და თევზსარეწი ფლოტის გემებისა — 2,6-ჯერ.

1951-1955 წლებში ათვისებული და გამოშვებულია დიდი წარმადობის მთელი რიგი ახალი ჩარხები, მანქანები და აგრეგატები, რომლებიც წინათ სსრ კავშირში არ კეთდებოდა. მეტალურგიული მრეწველობისათვის შეიქმნა და გაკეთდა სხვადასხვა ახალი ტიპის ბლუმინგები და სლაბინგები, საგლინავი დგანები თხელი ფურცლისათვის, ცალკებადი კვეთილობის ფურცლებისა და პროფილებისათვის, ალუმინის შენადნობთა თხელი ლენტებისა და ფურცლების ცივი გლინვისა და თხელკედლიანი მილების ცივი გლინვისათვის. ათვისებულია მსხვილი ტურბინებისა და გენერატორების წარმოება კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურისათვის, ზემაღალი პარამეტრების ორთქლის ტურბინების, მაღალვოლტიანი ელექტროაპარატურისა და კუიბიშევ-მოსკოვის ელექტროგადაცემის ხაზისათვის, ათვისებულია დიდძალი ახალი უფრო სრულყოფილი და უფრო ზუსტი საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების წარმოება.

დამუშავებულია კონსტრუქციები და გაკეთებულია მძლავრი მოსიარულე ექსკავატორ-დრაგლაინები, რომელთა ციცხვის ტევადობა 14 კუბური მეტრია, 4 კუბური მეტრი ტევადობის ციცხვიანი ექსკავატორ-დრაგლაინები, 15 კუბური მეტრი ტევადობის ციცხვიანი მუხლუხა ექსკავატორები, 5 ათას მეტრ სიღრმეზე ბურღვის საბურღავი დანადგარები.

ათვისებულია ბეტონის ქარხნების მოწყობილობის და რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და ნაწარმის დამამზადებელი ქარხნების ტექნოლოგიური მოწყობილობის სერიული წარმოება.

მაგრამ მანქანათმშენებლობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე მოწყობილობით სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებს. საკმარისი არ არის სამჭედლო-საშენი მანქანების, სამსხმელო, საგლინავი და ქიმიური მოწყობილობის, ლითონსაჭრელი ჩარხების პროგრესული ჯგუფების, განსაკუთრებით სპეციალური და საგრეგატო ჩარხების, ავტომატური ხაზებისა და მთელ რიგ სახეობათა ელექტრომოწყობილობის წარმოების დონე. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობამ ვერ შექმნა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების ცალცალკე ასაღები, ბამბის, სიმინდის, სელის, კარტოფილის, ბოსტნეულის ასაღები, აგრეთვე მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოთა მექანიზაციის სრულყოფილი მანქანები. სრულიად არასაკმაოდ მზადდება კიდული ნიადაგდასამუშავებელი და სხვა იარაღები სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასამუშავებლად. კონსტრუქციების დამუშავება და ახალი პროგრესული მანქანების მოწყობილობისა და ხელსაწყოების წარმოების ათვისება ნელა ხორციელდებოდა. სუსტად ინერგებოდა წარმოების ახალი ტექნოლოგიური პროცესები და მოწინავე მეთოდები.

მანქანათმშენებლობაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარებას.

11. **ქიმიური** მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება მეხუთე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადიდდა. მინერალური სასუქების გამოშვება 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა 75 პროცენტით და შეადგენდა 9,6 მილიონ ტონას, კაუსტიკური სოდისა — 73 პროცენტით და შეადგენდა 563 ათას ტონას, კალცინირებული სოდისა — 92 პროცენტით და შეადგენდა 1.437 ათას ტონას, სინთეზური კაუჩუკისა — 68 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადიდდა ორგანული შხამქიმიკატების წარმოება სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად. გაიზარდა პლასტმასების, მათ შორის ფერადი ლითონების შემცვლელთა წარმოება. გადიდდა აგრეთვე სინთეზური საღებავების, ხელოვნური აბრეშუმის ნედლეულისა და სხვა დიფიციტურ სახეობათა ქიმიური ნედლეულისა და მასალების წარმოება. მოიწყო ნავთობის მრეწველობის ნარჩენი გაზებისაგან სინთეზური ეთილის სპირტის, აგრეთვე ხელოვნური აბრეშუმისათვის ალკატრაცელულოზის სამრეწველო წარმოება. გრანულირებული სუპერფოსფატის წარმოება 5.3-ჯერ გადიდდა.

მეხუთე ხუთწლედში ქიმიური მრეწველობის სიმძლავრეთა მატება წინა ხუთწლედთან შედარებით გადიდდა ამონიაკის, გოგირდის მჟავას, კალცინირებული და კაუსტიკური სოდისა და სხვა პროდუქტების წარმოებაში.

მიუხედავად ქიმიური პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდისა, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე და განსაკუთრებით მინერალურ სასუქებსა და პლასტმასებზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება როგორც რაოდენობით, ისე ასორტიმენტით. ხუთწლიანი გეგმით დაწესებული დავალებანი კაუსტიკური სოდის, მინერალური სასუქებისა და სინთეზური კაუჩუკის წარმოების ზრდის დარგში მთლიანად არ არის შესრულებული.

ქიმიურ მრეწველობაში სრულიად არასაკმაოდ იყენებენ ნავთობისა და ბუნებრივ გაზებს, რის გამო სამრეწველო საჭიროებებისათვის და უწინარეს ყოვლისა სინთეზური კაუჩუკის, სპირტის, გამხსნელებისა და ლაქების წარმოებისათვის მნიშვნელოვანი რაოდენობით იხარჯება კვების ნედლეული.

12. სატყეო მრეწველობა მეხუთე ხუთწლედში შემდგომ განვითარდა. მაგრამ სატყეო მრეწველობის ჩამორჩენა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათაგან ლიკვიდირებული არ არის. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო სამასალე მერქნის გამოზიდვის გადიდება დაახლოებით 56 პროცენტით. ფაქტიურად სამასალე მერქნის გამოზიდვა (კოლმეურნეობათა გამოზიდვის ჩაუთვლელად) 1955 წელს შეადგენდა 197 მილიონ კუბურ მეტრს, ანუ 1950 წელთან შედარებით 28 პროცენტით გადიდდა.

ხე-ტყის დამზადების ბაზების გადატანა მრავალტყიან რაიონებში, განსაკუთრებით ჩრდილოეთის, ურალის, დასავლეთ ციმბირისა და კარელია-ფინეთის სსრ რაიონებში, რაც გათვალისწინებული იყო ხუთწლიანი გეგმით, აგრეთვე ამ რაიონებში ხე-ტყის სახერხი ქარხნების სიმძლავრეთა გადიდება საკმაო ოდენობით არ ხორციელდებოდა.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა ხე-ტყის დამზადების მექანიზაცია. ხე-ტყის დამზადების ძირითადი ოპერაციების მექანიზაციის დონე 1955 წელს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტროს ხაზით აყვანილია: ტყის ჭრაში — 86 პროცენტამდე, ხე-ტყის მიზიდვაში — 74 პროცენტამდე, ზემო საწყობებში ხე-ტყის დატვირთვაში — 61 პროცენტამდე, ხე-ტყის გამოზიდვაში — 79 პროცენტამდე. ამავე დროს სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია სრულიად არასაკმაოდ ხორციელდებოდა. დამაკმაყოფილებლად არ იყენებდნენ მექანიზმებს ხე-ტყის დამზადებაში.

ხუთწლიანი გეგმის დავალება 1954 წელს ქაღალდის გამოშვებაში შესრულებულია. ქაღალდის წარმოება 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 56 პროცენტით გადიდდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 46 პროცენტისა.

მნიშვნელოვნად გადიდდა ფანერის, სატყეო-ქიმიური პროდუქციის, ჰიდროლიზური და სულფიტური სპირტის წარმოება. ავეჯის წარმოება 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გადიდდა. მაგრამ დავალება ავეჯის გამოშვების დარგში მთლიანად არ არის შესრულებული.

13. სულ ცოტა ერთიორად შესრულებული მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალება ძირითადი **საშენი მასალების** წარმოების გადიდებაში. ცემენტის წარმოება ხუთ წელიწადში გადიდდა 2,2-ჯერ, შიფერისა — 2,7-ჯერ, გაპრიალებული მინისა — 5,7-ჯერ, აგურისა — 2,1-ჯერ. 1955 წელს დამზადებულია: ცემენტი 22 მილიონ ტონაზე მეტი, შიფერი—1,5 მილიარდი პირობითი ფილა, ფანჯრის მინა — 100 მილიონ კვადრატულ მეტრამდე, აგური — 20 მილიარდ ცალზე მეტი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა გასაწყობ-მოსაპირკეთებელი საშენი მასალების, აგრეთვე კერამიკისაგან, თაბაშირისა და რკინაბეტონისაგან ქარხანაში დამზადებული კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება. 1955 წელს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოშვება შეადგენდა 5 მილიონ კუბურ მეტრს. მნიშვნელოვნად გაფართოვდა გამოშვებული საშენი მასალების ასორტიმენტი და გაუმჯობესდა მათი ხარისხი. ფართო მასშტაბით მოწყობილია ახალ სახეობათა ცემენტის, რკინაბეტონისაგან სხვადასხვა კონსტრუქციებისა და დეტალების და სხვა ნაკეთობათა წარმოება. მაგრამ კერამიკისაგან, თაბაშირის, ბეტონისა და რკინაბეტონისაგან საშენი კონსტრუქციების გასაწყობ-მოსაპირკეთებელი საშენი მასალების და დეტალების სამრეწველო წარმოება ჯერ კიდევ ჩამორჩება მშენებლობის მოთხოვნილებებს.

14. **მსუბუქი** და **კვების** მრეწველობის პროდუქციის წარმოების გადიდების ხუთწლიანი გეგმის დავალებანი მთლიანად ხუთწლედში შესრულებულია 70 პროცენტით.

მსუბუქი მრეწველობის ძირითადი ნაწარმის წარმოება გადიდდა: ბამბის ქსოვილებისა — 5,9 მილიარდ მეტრამდე 1955 წელს, ანუ 51 პროცენტით 1950 წელთან შედარებით, შალის ქსოვილებისა — 251 მილიონ მეტრამდე, ანუ 62 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა — 526 მილიონ მეტრამდე, ანუ 4-ჯერ, ფეხსაცმლისა — 299 მილიონ წყვილამდე, ანუ 32 პროცენტით. შალის ქსოვილების გამოშვების ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია ვადამდე, 1954 წელს. ბამბის ქსოვილებისა და ფეხსაცმლის წარმოების ხუთწლიანი გეგმის დავალება არ შესრულებულა.

მნიშვნელოვნად გადიდდა გაუმჯობესებული ასორტიმენტის მთელი რიგი სამრეწველო საქონლის წარმოება, რომელზეც მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნილებაა. ბამბის ხაოიანი ქსოვილების წარმოება გადიდდა 6-ჯერ და უფრო მეტად, ხელოვნურ აბრეშუმნარევი ქსოვილებისა — 3,9-ჯერ, ჭრელნაქსოვისა — 3,2-ჯერ. კამვოლური წმინდა შალის საკოსტიუმე ქსოვილების წარმოება გადიდდა 2,7-ჯერ, წმინდა მაუდის შალის საპალტო ქსოვილებისა — 3,2-ჯერ.

მნიშვნელოვნად გადიდდა „კაპრონის“ აბრეშუმის, მატყლისა და მატყლნარევი ნართის წინდების, ხელოვნური აბრეშუმის ტრიკოტაჟის საცვლების, მოდელური ფეხსაცმლის წარმოება.

რამდენადმე გაუმჯობესდა მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ხარისხი, მაგრამ მთელი რიგი საწარმოები ჯერ კიდევ უშვებენ არადამაკმაყოფილებელი ხარისხის პროდუქციას.

ბამბეულის, სელისა და შალეულის მრეწველობაში ინერგებოდა დიდი წარმადობის სართავი მანქანები მაღალი გაწევის ხელსაწყოებით და ავტომატური საქსოვი დაზგები. ამაღლდა ავტომატიზაციის დონე სატრიკოტაჟო მრეწველობაში და სამუშაოთა მექანიზაციის დონე სამკერვალო წარმოებაში. მაგრამ საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების ახალი ტექნიკით აღჭურვის დონე ფრიად არასაკმაოა.

ხუთწლედის განმავლობაში ამუშავდა მსუბუქი მრეწველობის მრავალი საწარმო. პროდუქციის გამოშვება დაიწყეს ქალაქ კამენინის, ხერსონის ბამბეულის უდიდესმა კომბინატებმა და ბარნაულის მეორე კომბინატმა, მინსკის კამვოლის კომბინატმა. ამუშავდა ხელოვნური ბოჭკოს საწარმოები და მსუბუქი მრეწველობის სხვა საწარმოები. ამავე დროს ბამბის ქსოვილების, ხელოვნური ბოჭკოსა და ფეხსაცმლის წარმოების სიმძლავრეთა გადიდების დავალება მთლიანად არ არის შესრულებული.

კვების მრეწველობის ძირითადი პროდუქტების წარმოება ხუთი წლის განმავლობაში გადიდდა: ფხვნილი შაქრისა — 36 პროცენტით, ხორცისა სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში — 69 პროცენტით, ერბო-კარაქისა — 40 პროცენტით, მცენარეული ზეთისა — 43 პროცენტით, კონსერვებისა — 2,1-ჯერ, თევზის ჭერა გადიდდა 56 პროცენტით. 1955 წელს გამომუშავებულია ფხვნილი შაქარი 3,4 მილიონი ტონა, ხორცი სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში — 2,3 მილიონი ტონა, ერბო-კარაქი და რძის სხვა პროდუქტები (რძეზე გადაყვანით)—13,5 მილიონი ტონა, მცენარეული ზეთი (გარდა კოლმეურნეობების წარმოებისა)—1,1 მილიონი ტონა, თევზის ჭერა (გარდა კოლმეურნეობების დანაჭერისა) შეადგენს 2,7 მილიონ ტონას.

გაფართოვდა კვების პროდუქციის ასორტიმენტი და გაუმჯობესდა მისი ხარისხი. მნიშვნელოვნად გადიდდა კვების ცალკეული საქონლისა და აწონილ-შეფუთული საქონლის გამოშვება. მაგრამ კვების მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა (შაქრის, ხორცის, ზეთისა) მთლიანად ვერ შეასრულეს პროდუქციის გამოშვების მათთვის დაწესებული დავალებანი.

1951-1955 წლების განმავლობაში აშენდა კვების დიდძალი საწარმოები. გადიდდა ფხვნილი შაქრისა და რაფინადი შაქრის ქარხნების, ზეთსაქსტრაქციო ქარხნების, საკონსერვო ქარხნების, მოუხდელი რძის პროდუქციის ქარხნების სიმძლავრენი.

15. **ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის** საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდების ხუთწლიანი გეგმის დავალება 1954 წელს გადაჭარბებით შესრულდა.

1955 წელს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოების მიერ საერთო პროდუქციის გამოშვება 1950 წელთან შედარებით ერთიორად გადიდდა გეგმით გათვალისწინებული 60 პროცენტის ნაცვლად. მაგრამ ხარისხი და ასორტიმენტი ფართო მოხმარების ნაწარმისა, რომელსაც ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოები უშვებენ, მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსახლეობის მოთხოვნებს, წარმოებაში საკმაოდ არ ინერგება დამუშავების ახალი მეთოდები, ნაკლები ყურადღება ექცევა ნაწარმის გამოყენებას.

სრულიად არასაკმაოდ არის გაშლილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოთა ქსელი. ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ ადგილობრივ ნედლეულსა და სამრეწველო საწარმოთა ნარჩენებს.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

გერმანიაში საბჭოთა ჯარების შვაბის უფროსის მოვალეობის შემასრულებლის გენერალ-მაიორ ი. ლ. ცარენკოს წერილი ევროპაში ამერიკის ჯარების შვაბის უფროსისადმი

ბერლინი, 23 აპრილი. (საკდესი). დღეს გერმანიაში საბჭოთა ჯარების შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-მაიორმა ი. ლ. ცარენკომ ევროპაში ამერიკის ჯარების შტაბის უფროსს გენერალ-მაიორ ანკლს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

„ა. წ. 22 აპრილს გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მეკავშირეებმა ალტ-გლინიკეს რაიონში აღმოაჩინეს ხვრელი, რომელიც ამერიკის სამსახურს გაუყვანია საბჭოთა ჯარების კავშირგაბმულობის ხაზებამდე, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ხაზებამდე, რომლებიც გადიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

როგორც გამოძიებით გამოირკვა, ამერიკის სამსახურმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოაწყო 300 მეტრამდე სიგრძის გვირაბი, რომელშიც ბერლინის ამერიკული სექტორიდან გაიყვანა კაბელები და შეუერთა ისინი კაბელებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ საბჭოთა ჯარებს. გვირაბი მოქცეულია სექციებად აწყობილ ლითონის ტიუბინგში, რომლის დიამეტრია 1,9 მეტრი. გვირაბის სექციები გაყოფილია რკინაბეტონის კედლებით, რომლებსაც აქვთ თუჯის კარები. კარებზე ხვრელის ამერიკელ ორგანიზატორებს გაუკეთებიათ ყალბი წარწერები რუსულ და გერმანულ ენებზე. 30 მეტრამდე სიგრძის ერთერთ სექციაში, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, დადგმულია 2 ამერიკული ტელეფონის კროსი, ბოქსებით შეერთებული სამ კაბელთან, რომლებიც მოსმსახურებას უწევენ საბჭოთა ჯარებს. ამ სექციაში დადგმულია აგრეთვე სხვადასხვა აპარატურა, განკუთვნილი ტელეფონით ლაპარაკის მოსასმენად, კერძოდ 9 გამაძლიერებელი ბიგი, მაგნიტოფონი, საზომი და სხვა აპარატურა. გვირაბი მთავრდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმ ადგილას, სადაც უერთდება საბჭოთა მიწისქვეშა კაბელებს სპეციალურად მოწყობილი ჭით, რომელსაც აქვს ჰიდროიზოლაცია, ელექტროგანათება, მკვიდრი ლითონის გადახურვა. გვირაბის ყველა ნაგებობა და მისი მოწყობილობა, რაზეც დახარჯულია დიდი სახსრები, გაკეთებულია კაპიტალურად იმ გარაუდით, რომ დიდხანს შეიძლებოდეს მისი გამოყენება.

გვირაბი, მიწისქვეშა ნაგებობანი და აპარატურა, რომელიც იქ არის, სავსებით ცხადყოფს, რომ ხვრელის ორგანიზატორები მოქმედებდნენ დანაშაულებრივი ჯაშუშური მიზნებით, მოაწყეს რა ტელეფონით ლაპარაკის მუდმივი მოსმენა საბჭოთა ჯარების ჯგუფის კავშირგაბმულობის ხაზებზე და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ხაზებზე.

ზემოაღნიშნულის გამო გერმანიაში საბჭოთა ჯარების შტაბი ევროპაში ამერიკის ჯარების შტაბს პროტესტს უცხადებს გერმანიაში ამერიკელ სამხედრო ხელისუფალთა ამ უკანონო და შეუწყნარებელი მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვს მიცემულ იქნან პასუხისგებაში დამნაშავენი, აგრეთვე არ იქნას დაშვებული ამგვარი მოქმედება მომავალში.

საბჭოთა კომენდანტის მოვალეობის შემსრულებლის პოლკოვნიკ ი. ა. კოციუბას შეხვედრას ამერიკის კომენდანტთან ბერლინში გენერალ-მაიორ დაშერთან, რაც 23 აპრილს მოხდა ამ საკითხზე, სამწუხაროდ, დადებითი შედეგი არ მოუტანია. გერმანიაში საბჭოთა ჯარების შტაბის წინადადებაა შეიქმნას ბერლინში ამერიკისა და საბჭოთა კომენდატურების ხაზით საბჭოთა კავშირ-ამერიკის შერეული კომისია, რომელმაც გულდასმით უნდა გამოიკვლიოს ფაქტები, რაც ამ გარემოებას შეეხება“.

ბერლინის საბჭოთა სექტორის კომენდანტის ცნობა

ბერლინი, 24 აპრილი. (საკდესი). გუშინ ბერლინში ბერლინის საბჭოთა სექტორის სამხედრო კომენდანტის მოვალეობის შემსრულებელმა პოლკოვნიკმა ი. ა. კოციუბამ გერმანული და უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ 1956 წლის 22 აპრილს გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მეკავშირეებმა ალტ-გლინიკეს რაიონში აღმოაჩინეს ხვრელი, რომელიც ამერიკის სამსახურმა გაიყვანა საბჭოთა ჯარების კავშირგაბმულობის ხაზებამდე, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამ ხვრელის ამერიკელ ორგანიზატორებს ალტ-გლინიკეს რაიონში აღმოაჩინეს ხვრელი, რომელიც ამერიკის სამსახურმა გაიყვანა საბჭოთა ჯარების კავშირგაბმულობის ხაზებამდე, ასევე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე 300 მეტრამდე სიგრძის გვირაბი, ბერლინის ამერიკული სექტორიდან გაიყვანა კაბელები, ბერლინის საბჭოთა ჯარებს.

ბერლინის საბჭოთა სექტორის სამხედრო კომენდანტის მოვალეობის შემსრულებელმა ალტ-გლინიკეს რაიონში აღმოაჩინეს ხვრელი, რომელიც ამერიკის სამსახურმა გაიყვანა საბჭოთა ჯარების კავშირგაბმულობის ხაზებამდე, ასევე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

პრესის წარმომადგენლებს შესთავაზეს დათვალიერებინათ ხვრელის ადგილი.

მივიდნენ რა ადგილზე, გერმანელი და უცხოელი ჟურნალისტები დიდხანს ათვალიერებდნენ გვირაბს, მის მოწყობილობასა და აპარატურას. მათ საფუძვლიან ახსნა-განმარტებას აძლევდნენ კავშირგაბმულობის სპეციალისტები.

საზეიმო სხდომა ბერლინში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნის 10 წლისთავის გამო

ბერლინი, 22 აპრილი. (საკდესი). გუშინ ბერლინში გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დიდი ბერლინის ორგანიზაციის საზეიმო სხდომა, მიძღვნილი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნის 10 წლისთავისადმი.

თეატრ „მეტროპოლის“ დარბაზი სადღესასწაულოდ არის მორთული. ათი წლის წინათ აქ მოიზდა გერმანიის მუშათა მოძრაობის ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენა: ყრილობაზე აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტია და სოციალ-დემოკრატიული პარტია გაერთიანდნენ გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიად.

საზეიმო სხდომის მონაწილენი მხურვალედ შეეგებნენ მთავრობის ლოჟაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ვ. პიკის გამოჩენას. სხდომის პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. გროტეოლი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენებანი გააკეთეს ვ. ულბრიხტმა და ო. გროტეოლმა. მათ აღნიშნეს, რომ გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით, თავისი არსებობის წლებში წარმატებები მოიპოვა მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობისათვის ბრძოლაში, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ორატორებმა აღნიშნეს, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებანი მკაფიოდ ადასტურებენ გაერთიანებული მუშათა კლასის ძალასა და შესაძლებლობებს.

ილაპარაკეს რა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ამოცანებზე, ვ. ულბრიხტმა და ო. გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა გერმანიის მთელი მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომი განმტკიცებისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის.

ტაშის გრიალში სხდომაზე გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

მისალმების ტექსტში ნათქვამია:

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავს გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას მისი შექმნის 10 წლისთავს.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნა იყო მობრუნების ჰუნქტი გერმანიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში და შექმნა მთელი გერმანიის მუშათა კლასის ერთიანობის მიღწევის ფართო შესაძლებლობანი. გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ თავისი არსებობის წლებში წარმატებები მოიპოვა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად დემოკრატიული ძალების დარაზმვის საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას უსურვებს შემდგომ წარმატებებს მუშათა კლასის რიგების ერთიანობის განმტკიცებაში, გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის განმტკიცებაში, გერმანიის მშვიდობიანი დემოკრატიული განვითარებისა და გერმანელი ხალხის აყვავებისათვის საბრძოლველად ყველა მშრომელთა დარაზმვაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

• • •

გამოქვეყნდა აგრეთვე ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

დასასრულ საზეიმო სხდომის მონაწილენი მღერიან „ინტერნაციონალს“.

დასავლეთ გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე

ბერლინი, 21 აპრილი. (საკდესი). გუშინ ვიურცბურგში გაიხსნა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მეშვიდე ყრილობა, რომელსაც ესწრება 228 დელეგატი დასავლეთ გერმანიის ყველა მხარიდან, აგრეთვე დასავლეთ ბერლინიდან.

ყრილობა მიმდინარეობს რთულ პოლიტიკურ ვითარებაში. მას წინ უსწრებდა მწვავე ბრძოლა როგორც მთავრობის კოალიციის შიგ